პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
ყოველკვირეული ორგანო

№ 6, პარასკევი, 26 ნოემბერი, 1943 წ. ფასი 1 მანეთი

დღეს ნომერშია:

ბრწყინვალე გამარჯვება (მოწინავე).
პატრიოტული მხატვრობისათვის.
გიორგი ქუჩიშვილი—ლექსი ჩემს ლექსებს.
დავით სულიაშვილი—უკრაინელის შინ დაბრუნება.
შალვა ბუაჩიძე—ხორცშეუსხმელი შემოქმედებითი განზრახვა.
ლევან ასათიანი—აკაკი და სამართლიანი ომი.
ალექსანდრე საჯაია—საიუბილეო მიძღვნა გალაკტიონს.
გიორგი ნატროშვილი—საბჭოთა ეპოქის მომღერალი.
შალვა რადიანი—პოეტის გზა.
ძველი თბილისის ამბები.
მცხეთის მხატვართ—უხუცესი და ხუროთმოძღვარი.

ბრწყინვალე გამარჯვება

20 ნოემბერს შესრულდა ქალაქ კავკავის (ქ. ორჯონიკიძის) მისადგომებთან გერმანელ ფაშისტურ ურდოებზე საბჭოთა ჯარების სახელოვანი გამარჯვების პირველი წლისთავი.

ქ. კავკავთან გერმანელ ფაშისტების რჩეულ დივიზიათა განადგურების ფაქტი მარად დაუვიწყარ ისტორიულ მოვლენად შევა კავკასიის ხალხების, კერძოდ, ქართველი ხალხის მატიანეში.

წითელმა არმიამ ამ ბრწყინვალე გამარჯვებით კავკასიას, მის ველებზე და ფერდობებზე დამკვიდრებულ ერებს ააცდინა სიკვდილი და სრული ფიზიკური განადგურება, — ყველაზე უდიდესი საფრთხე იმ საფრთხეთა შორის, რომელთაც კავკასიონზე გადაუვლია მისი მრავალი საუკუნის არსებობის მანძილზე.

ჩვენ გვახსოვს და არასოდეს ჩვენი მეხსიერებიდან არ ამოიფხვრება გასული წლის ნოემბრის დღეები, როცა ჩვენს მთებზე ჩამოწვა შავი ღრუბლები, როცა კავკასიონის ქედს მოებჯინა ფაშისტური უწმინდურების მღვრიე ტალღა, რომელიც ლამობდა მის წინ აღმართული ზღუდის გადმოლახვას. მაგრამ ვერაგი მტრისათვის კლდოვანი ქედივით მოუდრეკელი აღმოჩნდა წითელი არმიის დევგმირული მკლავი, კავკასიონის ქედივით გაუპობელი აღმოჩნდა მკერდი კავკასიის ხალხებისა.

უმძიმესსა და უაღრესად დაძაბულ დღეებში კავკასიის ხალხებს, მათ შორის ქართველ ხალხს, ერთი წუთითაც არ დაუკარგავთ წონასწორობა. ერთი წუთითაც არ მისცემიან ისინი დაბნეულობასა და შიშს, სულმოკლეობასა და სულიერ სიძაბუნეს. პირიქით, დიდმა განსაცდელმა გააკაჟა, გაასალკლდევა ისინი, დაძაბა მათი ფიზიკური და სულიერი ენერგია ბრძოლისა და შრომისათვის: თავდაუზოგველი, დაუცხრომელი მუშაობა გაჩაღდა ყველგან—საწარმოებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე, რკინიგზებზე და ნავთსადგურებში, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებსა და საცდელ ლაბორატორიებში.

დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა ერთმა მისწრაფებამ გამსჭვალა — არ დაეზოგა ძალ-ღონე იმისათვის, რათა ჩვენი მშობლიური მამაცი წითელი არმიისათვის გაეადვილებინა სასიკვდილო ლახვარის ჩაცემა კავკავთან მომდგარი ვერაგი მტრის გულში.

უმძიმესი განსაცდელის დღეებში ქართველმა ხალხმა თავისი მედგარი ბრძოლით და დაუცხრომელი შრომით დაამტკიცა, რომ შეურყეველია მისი პოლიტიკურ-მორალური მთლიანობა, რომ ურღვევია მისი მეგობრობა მოძმე ხალხებთან. რომ მარადჟამს მტკიცეა მისი ძმობა დიდ რუს ხალხთან, რომლის სასიქადულო შვილებთან ერთად იგი იმ დღეებში იცავდა თავისი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ღირსებასა და მომავალს.

იმ უმძიმესი განსაცდელის დღეებში მთელი სიცხადით გამოჩნდა, რომ ქართველი ხალხი, მისი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია გამოწრთობილია **ლენინ-სტალინის** პარტიის ბრძმედში, რომ იგი შეიარაღებულია უმაღლესი მორალური თვისებებით — სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით, მისთვის თავდადების მზადყოფნით. ურღვევი მეგობრული გულადობით და შრომითი სიმამაცით.

იმ უმძიმესი გამოცდის ჟამს ქართველი ხალხი თავისი მაღალი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, და ეს იყო შედეგი იმ იშვიათი ღვაწლისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას დასდო დიდი **სტალინის** ერთგულმა მოწაფემ და თანამებრძოლმა, ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ.**

თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ამხანაგი ლავრენტი ბერია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში გაჩაღებულ გრანდიოზულ სოციალისტურ მშენებლობას, მისი მზრუნველობით იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ მრეწველობის, საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველები, ინტელექტუალური შრომის მოწინავე ადამიანები, იდეურად მაღალი, სულით ურღვევი ადამიანები, რომლებმაც სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟამს თავი ისახელეს როგორც ომისა და შრომის გმირებმა, როგორც საბჭოთა ქვეყნის ჭეშმარიტმა პატრიოტებმა.

ასევე განუზომელია ამხანაგ ლავრენტი ბერიას როლი, როგორც ჰიტლერულ ურდოებისაგან კავკასიის დაცვის ორგანიზატორისა.

1942 წლის ზაფხულის და შემოდგომის მძიმე დღეებში გამარჯვების ურყევი რწმენით სუნთქავდა ყოველი ჩვენგანი, იმედიანად სცემდა ყველა ჩვენგანის გული, რადგან ვგრძნობდით, რომ ჩვენთან იყო ჭირსა და ლხინში ქართველ ხალხთან განუყრელი ამხანაგი ლავრენტი ბერია, ვგრძნობდით, რომ საჭე კავკასიის დაცვისა და გადარჩენისა ეჭირა მის მადლიან ხელს, დარწმუნებული ვიყავით, რომ იგი თანმიმდევრულად და განუხრელად შეასრულებდა ბრძენი ბელადის, სწორუპოვარი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის დავალებებს. ამიტომ იყო, რომ არც ერთი ჭეშმარიტი პატრიოტის გულში ერთი წუთითაც არ დაისადგურებულა შიში, პანიკა, მოღლილობა და დაძაბუნება.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას ღვაწლს, ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულს მისადმი, ურმეს მადლობას გამოხატავენ ის სიტყვები, რომლებითაც თბილისის ინტელიგენციის კრებამ მიმართა ქართველი ხალხის სახელოვან შვილს:

„ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ! თქვენი სიცოცხლისა და ბრძოლის ყოველი დღე მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის ბრძოლასა და ცხოვრებასთან.

თქვენი დაუღალავი მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის წყალობით გაიფურჩქნა ქართველი ხალხის ცხოვრება, საქართველოში წარმოიშვენ ახალი საწარმონი, საკოლმეურნეო მინდვრები დიდსა და უხვ მოსავალს იძლევიან, გაიზარდნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა კადრები, რომლებიც მთელ თავიანთ ძალებს ახმარენ სოციალისტურ სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეს.

და როდესაც ჰიტლერელთა ურდოები შავი ღრუბლებივით ჩამოაწვნენ კავკასიონის კალთებს და სასიკვდილო საფრთხეს უმზადებდნენ ამიერ-კავკასიის ხალხთა სიცოცხლეს, — თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, ასრულებდით რა დიდი სტალინის ნებაყოფილს, მოხვედით ჩვენთან და დარაზმეთ კავკასიის ხალხთა ძალები წინააღმდეგობის გასაწევად მტრისათვის. თქვენ აღაფრთოვანეთ ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარები და საბჭოთა ზურგი. მტერი შეჩერებულ იქნა, ხოლო შემდეგ უკუგდებულ და განადგურებულ იქნა. საქართველოს ბევრმა შვილმა, რომელთაც თქვენ ჩაუნერგეთ მამაცობა, გულადობა და სიმტკიცე დასახული მიზნის მიღწევაში, სახელი გაითქვა სამშობლოსათვის ბრძოლებში.

თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, ჩვენთან ერთად იყავით მშვიდობიანი მშენებლობის წლებში და ხელმძღვანელობდით მთელს ჩვენს მუშაობას. თქვენ ჩვენთან იყავით მძიმე განსაცდელის დღეებშიც, როდესაც ჩვენი მოსისხლე მტერი ემუქრებოდა ქართველი ხალხის თავისუფლებასა და ღირსებას. თქვენ უზრუნველჰყავით კავკასიაში გერმანელთა განადგურების სტალინური გეგმის შესრულება და ამიერ-კავკასიის ხალხებს ააშორეთ სასიკვდილო საფრთხე“.

ასე აფასებს ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენცია ამხანაგ ლავრენტი ბერიას ისტორიულ ღვაწლს. ქართველი ხალხი მუდამ სიყვარულით წარმოსთქვამს ლავრენტი ბერიას სახელს თავისი დიდი ისტორიული გმირების სახელებთან ერთად. ამხანაგ ბერიას სახელი განუყრელად დაუკავშირდა ქართლის მატიანის იმ გმირთა სახელებს, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე არა ერთხელ განადგურებისაგან გადაურჩენიათ საქართველო.

ქართველი ხალხი თავისი გულის სიღრმეში ინახავს იმ გმირების ხსოვნას, რომლებმაც კავკასიისა და საქართველოს თავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში გვიჩვენეს უბადლო სიმამაცე და ვაჟკაცობა. ქართველი ხალხის სანუკვარი სურვილია, რომ ჩვენი სამშობლოს ეს თავდადებული შვილები, მათი წარმტაცი სახეები აღიბეჭდოს ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში. ასეთია ქართველი ხალხის დაკვეთა, და ქართული ხელოვნების, ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატები, სთვლიან რა ამ დაკვეთის შესრულებას თავიანთ უწმინდეს და საპატიო მოვალეობად, არ დაზოგავენ ძალღონეს და შემოქმედებითს ენერგიას, რომ ღირსეულად ასახონ კავკასიისა და საქართველოსათვის წარმოებული გიგანტური ბრძოლა და დიდი სამამულო ომის სხვა ბრწყინვალე ეპიზოდებთან ერთად მომავალ თაობებს გადასცენ ცოცხალი სურათი ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებისა.

პატრიოტული მხატვრობისათვის

სამამულო ომის ვითარებაში სახვითი ხელოვნება მოწოდებულია ღირსეული როლი შეასრულოს ხალხის სულიერი ძალების მობილიზებისა და ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვან საქმეში. მხატვრობა მოწოდებულია აღაფრთოვანოს ხალხი გმირობისათვის, უკვდავჰყოს მამაცი მებრძოლთა სახეები, მათი თავდადება სამშობლოსათვის.

მხატვრობა თავის სადღეისო მოწოდების გამართლებას დიდი, სამამულო ომის გმირობის და საბრძოლო ეპიზოდების წარმოსახვაში პოულობს. ამ თემებს მხატვრები პოულობენ დაძაბულ და უაღრესად დინამიკურ სიტუაციებში, რაც შეიქმნა ჩვენს ქვეყანაზე გერმანელი ფაშისტების თავდასხმის ვითარებაში, როდესაც სრული ძალით გამოჩნდა ჩვენი ხალხის სულიერი სიმტკიცე და ვაჟკაცური შეუდრეკლობა. უაღრესად შთამაგონებელი საბრძოლო ეპიზოდები ელიან თავის მხატვარს. მხატვრულ ტილოებზე ღირსეულად ასახვას და მით თანამედროვე საბჭოთა ადამიანის გმირობისა და სამშობლოსათვის თავდადების უკვდავყოფას.

დღეს მხატვრები განსაკუთრებით ეწაფებიან ისტორიულ თემებს. ისინი გამოხატავენ ისეთ ამაღლებელ ისტორიულ ბრძოლებს. სახელგანთქმულ მხედართმთავართა სახეებს ჩვენი ხალხის წარსულიდან, რაც საბრძოლო აღფრთოვანებისა და ვაჟკაცობის შთამაგონებელ ძალას აძლევს მათ ფუნჯს.

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი რუსი ხალხის მეთაურობით ერთობლივი ძალით აღიმართნენ ვერაგი მტრის წინააღმდეგ. ხალხთა სტალინური მეგობრობა უფრო მეტად გამოიწრთო და განმტკიცდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ხალხთა მეგობრობის იდეას განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება სამამულო ომის ვითარებაში. ისტორიულ წარსულშიც და თანადროულობაშიც ქართული მხატვრობა უნდა ნახულობდეს თემებს, რომელნიც მეტყველებენ ქართველი ხალხის დიდ რუს ხალხთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ გარეშე მტრების შესამუსრავად.

ასეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები და მოთხოვნები მხატვარს აყენებენ დიდი მაშტაბის და მნიშვნელობის მქონე პრობლემის წინაშე.

მხატვრობის ზოგიერთ ჟანრს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მეტად დიდია დღეს პლაკატისა და სატირული მხატვრობის სააგიტაციო ძალა და მნიშვნელობა, რადგან ერთიცა და მეორეც გარკვეულ ტექსტს ითხოვს. ამ შემთხვევაში ფართო სარბიელი ეძლევა მხატვრისა და პოეტის გამომგონებლობას, ფანტაზიას, მათ თანაშემოქმედებას. დიდი ამოცანები წამოიჭრა ბატალური მხატვრობის წინაშე, რომელიც მოწოდებულია ასახოს ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლები. განსაკუთრებით დიდი სარბიელია გადაშლილი პორტრეტის ჟანრისათვის, რომელმაც უნდა უკვდავჰყოს სამამულო ომის მებრძოლთა სახეები. დღეს მხატვრის მიერ მოცემული მებრძოლის სახის ყოველი ჩანახატი ძვირფასი მასალაა გაზეთისათვის. მხატვრის კალმის საბრძოლო საგიტაციო ძალა და მნიშვნელობა მეტად გაიზარდა.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა რომელიმე ჟანრის უპირატესობა გამოგვეცხადებინა. პირიქით, ყოველი ჟანრი, დაწყებული პორტრეტით და გათავებული ნატურ-მორტით, თანაბრად ძალამოსილია ჩვენი ქვეყნის გმირობისა და სილამაზის, თავდადებული ბრძოლისა და შრომის ასახვაში. ყველას როდი მოეთხოვება სწეროს ბატალური სურათები რაც განსაკუთრებულ ნიჭს, ცოდნას და ამ ჟანრში ფუნჯის გაწაფვას და სპეციალურ ჩვევებს მოითხოვს. პეიზაჟსა და ნატურ-მორტსაც კი სრული ძალა შესწევთ სამშობლო ქვეყნის ბუნებისადმი სიყვარულით აღძრან მაყურებლის გული და მით განამტკიცონ მისი პატრიოტული გრძნობა.

სამამულო ომის მძაფრ ვითარებაში საბჭოთა მეცნიერება და ხელოვნება წინ მიიწევს. ამიტომაც მოვითხოვთ სახვითი ხელოვნებაში მიღწეული ოსტატობის დონის არა თუ შენარჩუნებას, არამედ მის უფრო მეტად ამაღლებას. მხატვრული გემოვნების მეტ სიფაქიზესა და ნაწარმოების სრულყოფას.

მხატვრობას მართებს ამაღლებული პოეტური ტონით წერა. მხატვარი თავის მხატვრულ ამოცანებს სრულიად ვერ გაართმევს თავს, თუ პროფესიონალობასა და ნამდვილ ოსტატობასთან ერთად ცხოვრების, გარემოს ზედმიწევნით ცოდნას არ შეიძენს. ერთი წუთითაც არ შეიძლება დავიწყებულ იქნას ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ დიდ, მრავალფიგურებიან კომპოზიციების შექმნას წინ უნდა უძღოდეს ჰაერზე ხატვა და ნატურიდან წერა, მრავალ ეტიუდებზე, ესკიზებზე და ვარიანტებზე მუშაობით მომზადება და მასალის მოპოება.

დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ქართული სახვითი ხელოვნების პატრიოტული ტრადიციები. ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეების ოსტატები გამოხატავდნენ საქართველოს ჯარის ძლევამოსილ ლაშქრობას და სახელოვან მხედართმთავრების პორტრეტებს. მეჩვიდმეტე საუკუნეში ქუთაისის სასახლე მოხატული იყო ქართველი ხალხის ომების ამსახველი კედლის მხატვრობით. თბილისში როსტომ მეფის სასახლის კედლებზე წარმოსახული იყო გმირულ-ვაჟკაცური სცენები „როსტომიანიდან“. მხატვარი მამუკა თავაქარაშვილი და მისი თანამედროვე უცნობი ოსტატები დიდი შთაგონებით ასურათებდნენ „ვეფხისტყაოსნისათვის“ ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის ომებს.

შორეული წარსულიდან მტრის ურდოებით გარემოცული ქართველი ხალხის მხატვრობა განსაკუთრებით ეტანებოდა ვაჟკაცობისა და მამაცობის შთამაგონებელი, სამშობლოსადმი თავდადებისათვის აღმაფრთოვანებელი გმირული ეპიზოდებისა და სიუჟეტების წარმოსახვას. ეკლესიებში „წმინდანების“ გვერდით ხატავდნენ ქართულ მხედართმთავართა პორტრეტებს. სვანეთში ლაშთხვერის ეკლესიის გარეკედელზე დღემდე შემონახულია ბაყბაყ მდევთან ამირანის ბრძოლის ამსახველი სურათები.

ახალი ქართული რეალისტური მხატვრობა განაგრძობდა ძველი ქართული ხელოვნების პატრიოტულ ტრადიციებს. საკმარისია დავასახელოთ ქართული რეალისტური მხატვრობის სიამაყის გიგო გაბაშვილის „ხევსურთა ბრძოლა“, „მეომარი“, „ხევსურები სადარაჯოზე“, „ხევსურთა თავდაცვა არდოთში“, „იერიში“, ალექსანდრე მრევლიშვილის „უკანასკნელი მცველნი“, „კრწანისის შემდეგ“, „ამირანის შეხვედრა“, ვალერიან სიდამონ-ერისთავის „გიორგი სააკაძე ბრძოლის მოლოდინში“, „კრწანისის ველი“, ნიკო ფიროსმანაშვილის „გიორგი სააკაძის შეერთება ხევსურებთან“ და სხვა.

ქართული საბჭოთა მხატვრობის განვითარებაში წითელი არმიის თემა ერთ-ერთი უმთავრესი თემა იყო, არის და დარჩება. არ დარჩენილა არც ერთი ქართველი მხატვარი, რომელსაც ამ საპატიო თემაზე სურათი არა ჰქონდეს დახატული. ამ მხრივ ქართველ მოქანდაკეთა შემოქმედებაც ნაყოფიერი იყო. ქართველმა მხატვრებმა მოაწყეს წითელი არმიისადმი მიძღვნილი რამდენიმე გამოფენა და მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის გამოფენაში. ამ გამოფენაზე თავი ისახელეს ირაკლი თოიძემ, აპოლონ ქუთათელაძემ, უჩა ჯაფარიძემ და სამსონ ნადარეიშვილმა. 1939 წელს თბილისის კომუნალურმა მუზეუმმა მოაწყო გამოფენა, რომელიც ასახავდა ქართველი ხალხის მიერ თავის დედა-ქალაქის თბილისის მტერთაგან გმირული დაცვის ისტორიას. ამ გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ ლადო გუდიაშვილი, სევერიან მაისაშვილი, კოტე გრძელიშვილი, შალვა მამალაძე, შ. მაყაშვილი და სხვ. ერთის სიტყვით, ქართულ სახვით ხელოვნებას გარეშე მტერთან ბრძოლის მხატვრულად ასახვის გარკვეული ისტორიული ტრადიცია მოეპოვება. ამავე დროს საბჭოთა სინამდვილეში ჩვენს მხატვრობას გარკვეული გამოცდილება აქვს ამ მხრივ დაგროვილი.

ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მიერ შთაგონებულმა და მისი მზრუნველი დახმარებით მოწყობილმა გამოფენამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის“ ქართველ მხატვართა ფუნჯს მისცა დიდი გაქანება. ერთ გარკვეულ თემაზე მრავალმეტყველი გალერეის შექმნის გამოცდილება. ყოველივე ეს გვიკარნახებს, მოვითხოვოთ სახვითი ხელოვნების ოსტატებს ქართული პატრიოტული მხატვრობის ისტორიული ტრადიციების ღირსეული განგრძობა და საბჭოთა სინამდვილეში მოპოვებული გამოცდილების გაღრმავება.



ორდენოსანი უფრ. სერჟანტი **შოთა გოგია.** ნახ. **უჩა ჯაფარიძისა.** საფრონტო ალბომიდან.

ლექსი—ჩემს ლექსებს

გიორგი ქუჩიშვილი

გასწით,
გაჰკვეთეთ სივრცე გუგუნით,
ყველა ხალხის გულს
გადაესტამბეთ,
რომ საუკუნით
საუკუნემდე
ჩანგთ დასძახოდნენ
ჩვენს გმირულ ამბებს.
აწ მტერთა ურდო,
უნდო,
წყეული,
შემოსეული
ნგრევითი
ძალით,
ჩვენი დარტყმებით
უკუქცეული,
თავქლაფ-დასხმული
გარბის სიმხდალით.
გარბის, მაგრამ სად?
სად გაექცევა,
აბობოქრებულ
ხალხთა განაჩენს?!
მას თან მიჰკივის
მრისხანე წყევა
და სამართლიან
ზღვევის ცეცხლს აჩენს.
და ცეცხლი იგი,
შურისგებისა,
ისეთი ძალით
იფეთქ-იალებს,
რომ ბილწ ბუნაგებს
ბოროტებისას
ჰიტლერთან ერთად
გაატიალებს.

„საქართველოს ისტორია“

უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა აკად. ივ. ჯავახიშვილის, პროფ. ნ. ბერძენიშვილისა და აკად. ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“. ეს წიგნი წარმოადგენს ცდას „მოთხრობილ იქნას მთლიანი კურსი მეცნიერულ საფუძველზე აგებული საქართველოს ისტორიისა იმ სახით, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს საშუალო სკოლის უფროს კლასებში“.

„საქართველოს ისტორია“ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ მოვლენას, რომელიც საუკეთესო საჩუქარი არის არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, არამედ ყველა ქართველი საბჭოთა მკითხველისათვის.

წინასიტყვაობისა და შესავლის გარდა, მოკლე კურსი „საქართველოს ისტორია“ შესდგება XX თავისაგან: საქართველო-კავკასია ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანაში; ანტიკური ხანის მონათმფლობელური სახელმწიფოები საქართველოში; ადრინდელ-ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში; ფეოდალიზმის გამარჯვება საქართველოში; არაბობა საქართველოში; ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის; საქართველოს გაერთიანება; საქართველოს სამეფოს გაძლიერება; საქართველო წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო; მონღოლების შემოსევა; მონღოლთა ბატონობა საქართველოში; საქართველოს სამეფოს მთლიანობის აღდგენა; თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში; საქართველო მე-15 საუკუნეში, სამეფოს დაშლა; ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მე-16 საუკუნეში; ქართველთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში; ირანისა და ოსმალეთის ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ; ბრძოლა ქართლ-კახეთის განთავისუფლებისათვის; ირან-ოსმალეთ-რუსეთის ომი და საქართველო მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში; საქართველო მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში.

„საქართველოს ისტორია“ გამოვიდა აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით. აკად. ივ. ჯავახიშვილს ამ წიგნში ეკუთვნის პარაგრაფები 55-111, პროფ. ნ. ბერძენიშვილს—112-149. აკად. ს. ჯანაშიას—1-54, 78. მოკლე კურსს დართული აქვს ძველი საქართველოს რუკები, ბაგრატიონების გენეალოგიური ტაბულა და ქართული დამწერლობის განვითარების ტაბულა, ეთნოგრაფიული ჩანახატები, ქართული ხელოვნების ნიმუშების ფოტოგრაფიები, გამოჩენილ მეფეთა და სარდალთა პორტრეტები. წიგნში მდიდრულად არის წარმოდგენილი ილუსტრაციები.

„საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“ ჩასმულია მაგარ ყდაში, შეიცავს 392 გვერდს და ღირს 20 მანეთი.

როგორ იქმნებოდა სახელმძღვანელო

საუბარი წიგნის „საქართველოს ისტორიის“ რედაქტორთან— აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიასთან

ჩვენი წიგნი წარმოადგენს ცდას აგვეგო საქართველოს ისტორიის მთლიანი კურსი, სახელმძღვანელოს ფორმით, წმინდა მეცნიერულ მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე. ასეთი ამოცანა აუცილებლად უნდა წასწყდომოდა დიდ სიძნელეებს, უმთავრესად იმის გამო, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შესწავლილი საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხები და ცალკე პერიოდებიც კი. ამასთან ერთად სახელმძღვანელოს ფორმა გამორიცხავდა სპეციალური არგუმენტაციისა და დაწვრილებითი გადმოცემის შესაძლებლობას.

ავტორთა კოლექტივის მუშაობისათვის ყველაზე ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა ის, რომ ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ინიციატივით შეიქმნა (1936 წელს) აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად გაყოფილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ენის ინსტიტუტად და აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტად.

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის აღნიშნულ ინსტიტუტში შეიქმნა კოლექტივი რესპუბლიკის ძირითადი მუშაკებისა ქართული ენათმეცნიერების, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში, რომელიც ენთუზიაზმით შეუდგა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის შესწავლას.

დიდი მეცნიერული კოლექტივი მთელ ამ უაღრესად რთულ მუშაობაში ხელმძღვანელობდა ამხანაგ **სტალინის** იდეებითა და მითითებებით, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ამოცანების შესახებ.

სტალინური იდეებითა და პატრიოტული გრძნობებით შთაგონებულნი, ინსტიტუტის მუშაკები, კერძოდ, ავტორები გამოსული წიგნისა „საქართველოს ისტორია“, მუდამ ხვდებოდნენ სრულ დახმარებას და მზრუნველ დამოკიდებულებას რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მხრივ.

თვით წიგნის დაწერისათვის მუშაობა 1938 წლის ვაზაფხულზე დაიწყო. 1940 წელს წიგნი გამოვიდა ხელნაწერის უფლებით და ფართოდ განხილულ იქნა მეცნიერების ლიტერატურისა და სახალხო განათლების მუშაკებს შორის, რომლებმაც მოგვცეს მთელი რიგი მითითებანი და გამოსთქვეს სურვილები.

მუშაობა წიგნის „საქართველოს ისტორია“ საბოლოო გაფორმებაზე უკვე სამამულო ომის პირობებში მიმდინარეობდა და ავტორთა კოლექტივს იგი მიაჩნია ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, საერთო-საკაცობრიო ცივილიზაციისა და კულტურისათვის სსრ კავშირის ხალხთა ბრძოლის წმიდათა-წმიდა საყოველთაო-სახალხო საქმეში შეტანილ წვლილად.

გამოსული წიგნი წარმოადგენს „საქართველოს ისტორიის“ მხოლოდ პირველ ნაწილს, რომელიც მიყვანილია XIX საუკუნის დამდეგამდე. ინსტიტუტის მორიგი ამოცანაა მეორე ნაწილის (XIX-XX საუკ.) დაწერა.

ჩვენთვის დიდად სამწუხაროა, რომ წიგნის პირველი ნაწილის ავტორთაგან მის გამოსვლას ველარ მოესწრო აკადემიკოსი ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი, რომელმაც ესოდენ დიდი შრომა გასწია იმ მეცნიერული ნიადაგის მოსამზადებლად, რაც აუცილებელი იყო „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს შესაქმნელად.

უკრაინელის შინ დაბრუნება

დავით სულიაშვილი

კვლავ შენთან ვარ, ჩემო მშობლიურო მიწავ, კვლავ გიხილე!

გაიხარე, ჩემო გულო!

რატომ არ ვიცოდი, თუ რა უბედური ყოფილა ადამიანი შენს ალერსსა და სიყვარულს მოკლებული!

ახლა ისევ შენთან ვარ, ჩემო სულის ჩამდგმელო! დავბრუნებულვარ შენი შვილი და შენი ბუნების წიაღში მინდა დავიცხრო ჩემი აღგზნებული გრძნობა.

მე ველოდი შენს ნახვას, როგორც ელის დილის ცვარი მზის პირველს სხივებს! ველოდი, როგორც ელის მერცხლის ბარტყი დედის მოფრენას. ველოდი, როგორც ელიან ყანის დამშვრალი მუშები ჩრდილში დასვენებას, ველოდი და ვიცოდი, რომ კვლავ გიხილავდი.

და აი ახლა, როცა ვაძევებთ ჩვენი კუთხიდან მტრის ურდოებს, ისევ შენთან ვარ, დიდებულო ჩემო! კვლავ შემიძლიან შენს უბეში ვპოვო ტკბილი ბინა—გაიხარე ჩემო გულო!

მოვსულვარ შენი მდინარის პირად, ვუმზერ ტალღების სრბოლას და მინდა შენს უბეში დავიამო ჩემი წყლულები.

სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავ შენს ნაპირებს, მინდვრებსა და ყანებს.

მოვსულვარ შენს პირად და მინდა მოწიწებით და გულის ძგერით მუხლთ მოვიდრიკო შენს წინაშე, ნაკადო სამშობლო ცრემლებისა!

მინდა გამცნო, რომ ტირილი და ოხვრა კი არ მინდა როგორც ოდესღაც ბაბილონის მდინარესთან რომ გოდებდნენ. არა: მე ფიცი მინდა დავდო შენი ტალღების წინაშე, რომ ჩემს თვალს რული არ მივაკარო, ვიდრე ჩემი სამშობლო მთლიანად მტრის ხელიდან არ გავანთავისუფლო...

ახლა, როცა ვუმზერ მტრის ხელით განადგურებულ ჩემს სოფელს, ვხედავ სივრცეში ზლაზვნით ამართულ ფერფლიდან აკიდებულ კვამლს, გაველანებულ ბაღჩებსა და ბაღებს, — კვლავ ფიცსა ვდებ გაასკეცებული მხნეობით ვიმუშაო და აღვადგინო მტრისაგან გაპარტახებული ჩემი სოფელი, ვფიცავ კვლავ ავაყვავო ჩემი მხარე, რომ ისევ გაისმოდეს შენს არემარეში მხიარული სიმღერა შენი ახალგაზრდა შვილებისა...

ისევ შენთანა ვარ, ჩემო საყვარელო, და შენ გიგალობ ჰიმნს ჩემო დიდებულო,—სამშობლოვ ჩემო!

სალამი შენდა, ჩემი სევდების გამქარვებელო, სალამი შენდა, ჩემო სამშობლოვ!

ისევ შენთან ვარ! გაიხარე ჩემო გულო!...

საბრძოლო სიმღერები

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი სცემს ქართველი კომპოზიტორების ექვს ახალ სამწყობრო სიმღერის ნოტებს. ამ სიმღერებმა პრემიები მიიღეს კომპოზიტორთა კავშირისაგან მიმდინარე წელს გამოცხადებულ მასობრივი და სამწყობრო სიმღერების კონკურსზე.

გამოცემული იქნება პირველი პრემიით დაჯილდოვებული გრ. ჩხიკვაძის „დაჰკარ, მოსპე მტერი", მეორე პრემიით დაჯილდოვებული: რ. გაბიჩვაძის „სტალინის დროშა გავშალოთ", ნ. ნარიმანიძის „მტერი ვერ გაგვექცევა", ვ. ცაგარეიშვილის „გამარჯვება ჩვენია", ვ. კურტიდის „ლაშქრული" და სიგელით დაჯილდოვებული შ. აზმაიფარაშვილის „გამარჯვება ჩვენია".

ხორცშეუსხმელი შემოქმედებითი განზრახვა

შალვა ბუაჩიძე

რუსთაველის თეატრმა დასდგა სანდრო შანშიაშვილის ახალი ისტორიული პიესა „კრწანისის გმირები". ს. შანშიაშვილი კვალიფიციური დრამატურგია და მას კარგად იცნობს ჩვენი მაყურებელი. „კრწანისის გმირებში" ს. შანშიაშვილს სურს დაგვანახვოს მეფე ერეკლეს ბრძოლა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ: ერეკლეს დამარცხება კრწანისთან, მეფის ლტოლვა თბილისიდან, შემდეგ ქართველთა რაზმების თავმოყრა და მძლავრი იერიში მტრის წინააღმდეგ რუსების დახმარებით და შემოსეულ დამპყრობთა დამარცხება.

გზადაგზა ავტორს სურს გვიჩვენოს ირაკლის სამეფოს ძირგამომთხრელი ძალების საქმიანობა, კერძოდ, მოხუცი მეფის ანდერძის ირგვლივ დატრიალებული ინტრიგა, ბატონიშვილებისა და დარეჯან დედოფლის უღირსი საქციელი.

სამწუხაროდ „კრწანისის გმირებს" აკლია დრამატურგიული მთლიანობა. იგი დაქუცმაცებულია, ძალზე სუსტია კავშირი ცალკე სურათებს შორის. პიესაში ბევრია ზედმეტი ეპიზოდი, მეორე-ხარისხოვანი პერსონაჟები, რომელთაც მხოლოდ შორეული კავშირი აქვთ იმასთან, რაც სცენაზე ხდება. ამის გამო დრამატიული დაძაბულობა ხშირად ეცემა. მოქმედი პირები ერთმანეთს გვანან, ყველანი ერთი ენით ლაპარაკობენ. ს. შანშიაშვილის მიერ დახატული სახეების უმეტესობა მეტად ბუნდოვან წარმოდგენას გვაძლევს იმ გმირებზე, რომელთაც თავდადებით და ვაჟკაცობით უკვდავჰყვეს კრწანისის ველზე თავიანთი თავი. პიესა კრწანისის გმირების სახელს ატარებს, ამ გმირებს-კი ძლიერ მკრთალად ვხედავთ ს. შანშიაშვილის ნაწარმოებში. ზოგი მათგანი სრულებით უგულებელყოფილია დრამატურგის მიერ, ზოგიკი მეტად უსიცოცხლოდ არის წარმოდგენილი.

სამასი არაგველის შესანიშნავი ერთობლივი თავდადება, რის მსგავსიც ბევრი არ მოიძებნება კაცობრიობის ისტორიაში, მოხსენებულიც-კი არ არის პიესაში, მაშინ, როდესაც მარტო ამ ფაქტს შეუძლია აღანთოს დრამატურგი მგზნებარე ნაწარმოების შექმნისათვის. როცა მოზღვავებული მტერი თბილისის მისადგომებს ეხეთქებოდა, სამასმა რჩეულმა არაგველმა თავი დასდო სამშობლოსათვის და ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა საქართველოს ისტორიაში. მიუხედავად უიმედო მდგომარეობისა, არც ერთ მათგანს არ დაუხევია უკან, ისინი ლომებივით იბრძოდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და ყველანი გაწყდნენ.

გმირობის ამ უჭკნობ მაგალითს არ შეუძლია ღრმა პატრიოტული აღტყინება არ გამოიწვიოს და მხურვალე მადლობის გრძნობით არ აღავსოს ჩვენი გული იმ უსახელო მებრძოლთა მიმართ, ვინც 1795 წლის 10 სექტემბრის ბურუსიან დილას თავგამეტებით ებრძოდა მტერს და თავისი ქვეყნისა და მისი მოჭირნახულე მეფის სახელს იცავდა.

„ჰეი, თქვენ, არაგველებო,
გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მისვლა და
მუხლის მოდრეკა მომინდა".

პოეტის ამ სიტყვებს სიყვარულით გაიმეორებს ყოველი საბჭოთა პატრიოტი, ვისაც უყვარს თავისი სამშობლოს წარსული და მისი სახელოვანი ადამიანები. კრწანისი იგივე თბილისია. კრწანისის ომი თბილისის დაცვისათვის წარმოებული ომია. ვინც კრწანისზე სწერს, მას არ შეუძლიან გვერდი აუაროს არაგველთა მამაცობას.

ვიქტორ ჰიუგო მოითხოვდა — დრამატიულ ნაწარმოებში ყველა მნიშვნელოვანი ამბავი სცენაზე უნდა ხდებოდესო. ს. შანშიაშვილმა დაივიწყა ეს ბრძნული მითითება. „კრწანისის გმირები" დაწერილია თხრობითი მეთოდით, თხრობითი კილო-კი, როგორც ცნობილია, ჰკლავს დრამატიულ ნაწარმოებს. ყველა მთავარი ეპიზოდი ნაჩვენები როდია, — მათ შესახებ ვგებულობთ სხვების ნაამბობიდან. გმირი მოცემული არ არის მოქმედებაში.

პიესაში არის გულუბრყვილო ადგილები, მოქმედება სწორხაზოვნად ვითარდება, არ არის ეფექტი, ყველაფერი ხელის გულზეა გადაშლილი, მაგრამ ზოგჯერ მაინც არა გჯერა. დაუჯერებელია, მაგალითად, დარეჯანის მიერ სეიფის გატეხა და ერეკლეს ანდერძის მოპარვის ცდის გადაბრალება სოლომონ ლეონიძისათვის. დარეჯანი გამოდის სეიფით ხელში, გასაღებით გააღებს და სიგელებს დაათვალიერებს. მერე ამოიღებს ანდერძის წიგნს, მაგრამ ამ დროს სოლომონ ლეონიძე მიეპარება და ხელიდან წაჰგლეჯს...

ნუ თუ სეიფი ისეთი პატარა იყო, რომ დედოფალს შეეძლო მისი ერთი ოთახიდან მეორეში გატანა? ასეთ სეიფში არ შეინახავდნენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთ დოკუმენტს, როგორიც ერეკლეს ანდერძი იყო. თუ კი ეს ანდერძის წიგნი მართლაც „აღრევისა და დავიდარაბის" სათავე იყო, როგორც სოლომონ ლეონიძე ამბობს, მაშინ იგივე ლეონიძე, პიესაში კანცლერად წოდებული, მოახერხებდა, რომ იგი ღირსეულად ყოფილიყო დაცული.

დრამატურგის მიერ ამ ანდერძის ირგვლივ მოქსოვილი ინტრიგა მოკლებულია დამაჯერებლობას. მით უფრო დაუჯერებელია, როცა დარეჯანი ქურდობას უეცრად სოლომონს გადააბრალებს და მეფეც ერთბაშად დაუჯერებს. ერეკლე უფრო წინდახედული ადამიანი იყო და საეჭვოა, რომ ასეთი სიბეცე გამოეჩინა. საერთოდ, საჭირო კია ერეკლეს მეუღლის დედოფალ დარეჯანის ამ სახით გამოყვანა? პიესის მიხედვით დარეჯანი ანდერძს იპარავს იმ მიზნით, რომ აღა-მაჰმად-ხანს გაუგზავნოს. ამით მას სურს მოიგოს ამ მტარვალის გული, რათა მისი დახმარებით თავისი შვილი გამეფოს ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ. დარეჯანი იქნებ მართლაც არ იყო ღირსეული მეუღლე ირაკლისა, მაგრამ მას რომ ურთიერთობა ჰქონოდა აღა-მაჰმად-ხანთან, მითითება ამაზე ისტორიულ წყაროებში არ მოიპოვება. თუ ასეა, საჭირო არ იყო ამ ლეგენდის შეთხზვა.

ბოლოს და ბოლოს, რა დანაშაული მიუძღვის დარეჯანს ისტორიის წინაშე? დარეჯანი ერეკლე მეფის მესამე მეუღლე იყო. ის, როგორც თორმეტი შვილის დედა, ცდილობდა ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ტახტი მის ვაჟებს დარჩენოდათ, რომელთაც უნდა ემეფნათ ჩამორიგებით, უფროს-უმცროსის მიხედვით. სიკვდილის წინა ღამეს დარეჯანი შეუჩნდა სულთმობრძავ ერეკლე მეფეს და გამოსტყუა ანდერძი „ჩამორიგებით მეფობისა". შემდეგში ეს ანდერძი აღრევის წყაროდ გადაიქცა. დარეჯანის ვაჟები წაესივნენ გიორგი მეფეს (გიორგი ერეკლეს შვილი იყო მეორე ცოლისაგან, პირველი ცოლისაგან ირაკლის ვაჟი არა ჰყოლია) და მის მემკვიდრეს დავითს და დაიწყო მათ შორის შუღლი და მტრობა. დარეჯანის ადამიანურმა სისუსტემ, შვილების სიყვარულით გამოწვეულმა, ქვეყანა შფოთსა და დავიდარაბაში ჩააგდო. ისტორიამ არ აპატია დარეჯანს ეს სისუსტე. ეს დანაშაულიც ეყოფა მას. ს. შანშიაშვილი და რუსთაველის თეატრი დღეს მას ბრალს სდებენ კიდევ ერთ საშინელ დანაშაულში — გარეშე მტერთან, აღა-მაჰმად-ხანთან კავშირში. ისტორია არ ადასტურებს ამას, დარეჯანს არასოდეს არა ჰქონია კავშირი სპარსეთის შაჰთან და ამ სახით მისი გამოყვანა ისტორიის გაყალბებაა. უფლება არა აქვს დრამატურგს თუ თეატრს, ასეთი ცილი დასწამოს პატარა კახის მეუღლეს.

ერეკლეს გმირობის ამბავი საქვეყნოდ არის ცნობილი. ამ გმირობის გადმოსაცემად ჩაფიო საღებავებია საჭირო, თანაც ტაქტი, გაზვიადება საჭირო არ არის, რადგან იგი მხოლოდ ზიანს მიაყენებს ერეკლეს სახეს. „კრწანისის გმირებში" დარეჯან-დედოფალი ასე ახასიათებს ერეკლეს მარიამის წინაშე: „თქვენ ამეს ვფიცავ, როდისღა სძინავს თუ ვიცოდე — დღის სინათლე მომენტაროს! ერთხელ ლეკები გამოჩნდნენ სადილობის ჟამს დილომში, სადილი არ ინება და მათ დაედევნა. როცა სახლში დაბრუნდა და ის კი იყო პური უნდა ეჭამა, მოახსენეს მოთარეშენი ტაბახმელასთან გამოჩნდნენო. ახლა მათ დაედევნა. მხოლოდ ვახშმობისას დაბრუნდა. მაგრამ კაცი მოვარდა: მტერი მარტყოფზე დაცემას აპირებსო. უმალ ცხენს მოახტა, მდევარი გაიყოლა და მტერი მარტყოფთან დაამარცხა".

ნუ თუ დრამატურგს ნამდვილად სჯერა, რომ **ნახევარი დღის** განმავლობაში შეიძლებოდა დილმის, ტაბახმელას და მარტყოფის ზოვლა და იქ მტრის დამარცხება? ეს იმ ეპოქაში, როცა მიმოსვლის ყველაზე სწრაფი საშუალება ცხენი იყო. ასეთი გაზვიადება დამაჯერებლობას უკარგავს პიესას.

სანდრო შანშიაშვილი ცნობილია ჩვენში, როგორც კარგი სტილისტი. მისი ენა მდიდარია და დახვეწილი. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით „კრწანისის გმირების" შესახებ. ენა აქ ყველგან როდია უნაკლო. აღსანიშნავია, რომ ავტორი დღევანდელი ენით ალაპარაკებს ზოგიერთ მოქმედ პირს. სოლომონ ლეონიძე ურჩევს ერეკლეს „ჩვენ უნდა ხელშეკრულება დავარღვიოთ ახალციხის ფაშასთან, ხოლო რუსეთმა ოსმალეთთან. რუსეთის ბრწყინვალე **კამპანია** კი მოლდავია-ბესარაბიაში მარტო ოსმალეთს კი არა, ევროპასაც არ ასვენებს".

— დიახ, დიახ, მართალი ხარ, **კანცლერო!** — უპასუხებს ერეკლე.

საიდან გაჩნდა ეს გერმანული სიტყვა „კანცლერი" მეთვრამეტე საუკუნის ქართულ ტერმინოლოგიაში? სოლომონ ლეონიძე ისტორიაში ცნობილია სოლომონ მსაჯულის სახელით და არა სოლომონ კანცლერად.

„კრწანისის გმირებში", ამ უზარმაზარ ნაწარმოებში მხოლოდ ერთი ადგილია თბილად დაწერილი, რომელიც მკითხველის ყურადღებას იპყრობს. ეს ეპიზოდია ლტოლვილი მეფის მისვლა გლეხ თედო გათენაშვილის ქოხში. ამ მოხერხებულად მიგნებული შტრიხით დრამატურგი გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერი იყო ხალხში რწმენა ირაკლისადმი. როცა თედოს სახლში მგზავრის სახით მისული ერეკლე უამბობს მასპინძელს საქართველოს მეფის დამარცხებას აღა-მაჰმად-ხანის მიერ, თედოს არა სურს დაიჯეროს ეს, რადგან „სად გაგონილა, რომ დამარცხდეს ჩვენი მეფე ერეკლე? სამოცი ომი გადაუხდია და ეს ამბავი კაცს არ სმენია, ერეკლეს ზურგი არავის უნახავს, თუ არ პირისპირ მტერს და მოყვარეს — დამარცხდა ჩვენი მეფე ირაკლი? მისი დამარცხება როგორ იქნება, როცა მას ტახტად ხალხის გული აქვს".

თედოს ეს გულის ამონაკვნესი ჭეშმარიტად ხალხის აზრის გამომხატველი იყო. ეს აზრი დრამატურგმა ლამაზად და დამაჯერებლად გამოსთქვა. ლტოლვილი მეფისა და თედოს ეპიზოდი ყველაზე პოეტური ადგილია მთელს პიესაში.

ნაწარმოები ჩაფიქრებული იყო როგორც მხატვრული ასახვა ძველი კრწანისის გმირებისა, მაგრამ ეს არ გამოვიდა. ავტორს თვითონაც უგრძვნია თავისი სისუსტე და ცდილა მთელი თავისი შემოქმედებითი უნარი ირაკლის სახის სრულყოფილად გამოკვეთისათვის შეეწირა. სამწუხაროდ, არც ეს გამოუვიდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ირაკლი უფრო მიმზიდველი სახეა, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენი პერსონაჟი.

ჩანს, დრამატურგს უყვარს თავისი გმირი და ცდილობს ყველა და ყველაფერი მისი ბუნების გამომჟღავნებას დაუმორჩილოს. ზოგჯერ ეს სიყვარული ბრმა თაყვანისცემაში გადადის და ავტორს უკარგავს ამბების გარკვევისა და ფხიზლად შეფასების უნარს. აქედან — გაზვიადება, ისტორიულ, მხატვრულ, ადამიანურ სიმართლისაგან დაშორება. ამავე დროს ავტორი კრიტიკულ მომენტში უპატრონოდ სტოვებს თავის გმირს. გაიხსენეთ ლტოლვილი მეფის მისვლა ქინვალში გლეხ თედო გათენაშვილთან: მეფე მარტოა, თითქოს კრწანისის ველზე დამარცხების შემდეგ იგი ყველას მიუტოვებია. სად არიან მისი ერთგული დიდებულნი? რატომ გვერდით არ უდგანან მოხუც მეფეს? ჯერ კიდევ თბილისში, როს მტრის შემოსევით აფორიაქებული მცხოვრებნი გასაქცევად ემზადებოდნენ, ირაკლის თითქმის ყველა მხლებელი შემოეცალა. ხალხი გარბი-გამორბის, ყველანი ურჩევენ მეფეს, თავს უშველოს, მხოლოდ არავინ მიუთითებს — სად წავიდეს, რა გააკეთოს. რომ ახალგაზრდა გელას არ ეთქვა — ქინვალში წადი მამაჩემთანო, მოხუცი მეფის ბედი გამოურკვეველი იქნებოდა. და აი მძიმის დამარცხებული, ილაჯგამოცლილი მეფე მარტოდ-მარტო ქინვალში, რათა თავი შეაფაროს გლეხის ქოხს. დიდებულნი მხოლოდ იქ იპოვიან ირაკლის და მადლობას შესწირავენ უფალს, რომ მეფე გადარჩა.

დანამდვილებით არ ვიცით, რა პირობებში მოხდა ირაკლის ლტოლვა თბილისიდან, მაგრამ მოხუცი მეფე რომ თავის ანაბარა არ იქნებოდა მიტოვებული, ეს ჩვენთვის აშკარაა. დრამატურგმა აქ უღალატა მხატვრულ სიმართლეს და ამით ისტორიულ სიმართლესაც.

სანდრო შანშიაშვილის პიესა ერთი გმირის პიესაა. ეს არის მისი დიდი ნაკლი. მოქმედი პირების უმრავლესობა ზერელედ არის მოხაზული. სოლომონ ლეონიძეც, ბატონიშვილებიც, ზურაბ წერეთელიც, ოთარ ამილახვარიც, ვახტანგ ორბელიანიც, ხუდია ბორჩალოელიც, თედო გათენაშვილიც, თეკლეც. სამწუხაროდ, მხოლოდ ეპიზოდური პირები არიან. მათ მოქმედებაში ბევრია „სამსახურებრივი" ფუნქციები, რომლებიც ავტორს სჭირდება ამა თუ იმ ეპიზოდის განვითარებისათვის, და ძალიან ცოტაა ინდივიდუალური თავისებურება. ამით ბევრ რამეს ჰკარგავს უპირველეს ყოვლისა ერეკლეს სახე. მისი ურთიერთობა დანარჩენ პერსონაჟებთან ზედაპირულია, თუმცა პიესის შინაარსის მიხედვით იგი სრულიად სხვაგვარი უნდა იყოს.

სანდრო შანშიაშვილის პიესა ბევრს მოიგებდა, რომ მას დამთავრებული, მწყობრი კომპოზიცია ჰქონდეს. საქმე ის კი არ არის, რომ მას არ გააჩნია ზუსტად დამუშავებული სიუჟეტი. პიესაში არ არის მოქმედების ზრდა, თანდათანი გამომჟღავნება ახალი თვისებებისა. ცალკე სცენები მოწყვეტილია ერთმანეთს, მათ შორის არ არის ორგანიული კავშირი. ამით ირღვევა პიესის განვითარების ბუნებრიობა. სწორედ ამიტომაა, რომ ზოგი სახე ეპიზოდური გამოვიდა.



მხატვრების საფრონტო ალბომიდან. მაიორი **ლ. ჩიქვინიძე** (მარცხნით) ნახატი **უჩა ჯაფარიძისა** და კაპიტანი **ალ. ხარატიშვილი** ნახატი **გ. ჯაშისა.**

აკაკი და სამართლიანი ომი

ლევან ასათიანი

1

სამამულო ომის უმძაფრეს დღეებში ქართველ ხალხს არა ერთხელ მოუგონებია სიყვარულით თავისი ტკბილხმოვანი მგოსანი, მოხუცი აკაკი.

ის გარდაიცვალა მძვინვარე და მძიმე 1915 წლის იანვარში, იმ დროს, როცა რუსეთი გადამწყვეტ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული კაიზერის გერმანიასთან. ზარბაზნების მრისხანე ქუხილმა მიაცილა პოეტი სამუდამო სავანეში.

სიკვდილის წინ აკაკი სწერდა პოემა „ომს". პოემა დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ იქ მაინც იგრძნობა, თუ რა მწვავედ განიცდიდა ჭაღარით მოსილი პოეტი თავისი საყვარელი სამშობლოს ბედისტრიალს, თუ როგორ ოცნებობდა იგი თავისი ხალხის მომავალ თავისუფლებაზე.

უახლოესი მყობადის ნისლიან პერსპექტივაში აკაკის ნათლად ეხატებოდა ახალი საქართველოს ბრწყინვალე სახე.

საგულისხმოა აკაკის მკვეთრად საწინააღმდეგო პოზიცია კაიზერისტული გერმანიისადმი, როგორც მსოფლიო ომის გამჩაღებელი სახელმწიფოსადმი, რომლის მიზანი იყო თავისუფალ ერთა ჩაგვრა-დამონება. ეს შეხედულება მან გამოხატა თავის უკანასკნელ პოემაში:

„ვისი ბრალია ეს ამისთანა
აურზაური, აყალ-მაყალი?
ვინ წაუკიდა კაცობრიობას
ეს ჯოჯოხეთის ცეცხლი და ალი?"

შემდეგ სტროფში პოეტი პირდაპირ ასახელებს ამ ომის დამწყებს — კაიზერ ვილჰელმს და, ჰგმობს რა მის მტაცებლურ მისწრაფებას, ამბობს მის შესახებ:

„...ხშირად ჰფიქრობდა: „მთელი ევროპა
უნდა გავხადო ჩემ ყმად და მონად,
მე სათავეში დაუდგე ყველას
მათ მბრძანებლად და მათ ბატონად!"

მეოთხედ საუკუნესაც არ გაუვლია ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ, რომ გერმანიამ, პირველ ომში სასტიკად დამარცხებულმა, დღეს უკვე ფაშისტურმა და ხელახლა მადაამღვრეულმა, ისევ აღმართა თავისი ბილწი მახვილი პროგრესიული კაცობრიობის წინააღმდეგ. თავისი მტაცებლური მიზნებით დაბრმავებულმა, მან ცეცხლითა და ფოლადით შეჭურვილი ურიცხვი დივიზიები შემოუსია საბჭოთა ქვეყნის წმინდა მიწა-წყალს, მაგრამ ფაშისტ ბარბაროსთა გამხეცებულ ურდოებს შეუპოვრად დახვდა საბჭოთა ქვეყნის მოძმე ერთა შეუდრეკელი ძალა დიდი რუსი ხალხის მეთაურობით. საბჭოთა ხალხებმა სასტიკი და მრისხანე პასუხი გასცეს მოზღვავებულ მტერს. ისტორიაში უმაგალითო, დაუვიწყარი დამარცხება იწვნია მას რუსეთისა და უკრაინის ველებზე, მოსკოვისა და სტალინგრადის ბჭეებთან, ჭაღარა კავკასიის მისადგომთან, ნისლიან აზოვისა და ცისფერი დნეპრის ნაპირებთან.

ქართველი ხალხი, თავის მოძმე ერებთან ერთად, მედგარ მონაწილეობას იღებს დიად სამამულო ომში. მისი შვილები თავდადებით იცავენ საბჭოთა ქვეყნის თავისუფლებას, ღირსებას, დამოუკიდებლობას.

და ამ ისტორიულ მომენტში მოხუცი აკაკი თავის ხალხთან არის, მისი ნათელი აჩრდილი, მისი ბრწყინვალე შემოქმედება, მისი ლექსების ყოველი სტრიქონი დღეს მონაწილეა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის დიდი ეპოპეისა.

2

აკაკი თავის თავს უწოდებდა „მებრძოლსა გულგაუტეხელს, ბნელში იმედით მკვეხელსა". მისი ოპტიმიზმით გაჟღენთილი პატრიოტული ლირიკა და ეპოსი წარმოადგენენ იმ ელვარე და ჟანგმოუდებელ იარაღს ქართული პოეზიის არსენალში, რომელიც დღესაც განაგრძობს მშობელი ხალხის სამსახურს ფაშისტური მტრის საბოლოო განადგურებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. აკაკის მხნეობით აღსავსე ძახილი დღესაც გაისმის ვაჟკაცურ მოწოდებად:

„არა გვიშავს-რა, ჩვენი ქვეყანა
ისე მაგრად დგას, როგორც რომ მუხა!"
(პატარა კახი).

მოხუცი პოეტი თითქოს უშუალოდ დგას ჩვენი მეომრების საბრძოლო რიგებში და გვასწავლის მტრის შეურიგებელ სიძულვილს:

„ის დანაშთენ სიცოცხლეში
არ ნატრობს მეტს არარასა,
რომ სამშობლოს მტრის სისხლითა
იღებავდეს ჰპალარასა!"
(„უკანასკნელი ნატვრა")

უდიდესი პათოსით არის გამსჭვალული აკაკის ის ლექსები, რომლებიც შეეხებიან შემოსეული მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ მებრძოლთა გმირულ თავდადებას:

„გარს ოთხი გუნდიც მეხვიოს,
მარტოსა მეჯარებოდეს,
თუ რომ გავექცე, „ფუ" მითხარ,
დარჩენა მეჯავრებოდეს.
ჩემი ველების ანდერძსა
ვერ გავტეხ დიაცურადა:
ან მოვკლავ, ან შევაკვდები,
ქვეყნის მტერს ვაჟკაცურადა!"
(„გორგასლანის სიმღერა")

თავის შემოქმედებაში აკაკიმ დიდი და საპატიო ადგილი დაუთმო ისტორიულ თემატიკას. მან გააცოცხლა და ახალი ბრწყინვალებით აღადგინა ქართველი ხალხის ხსოვნაში სახელები სამშობლოსათვის თავდადებული გმირებისა, რომლებიც იარაღით ხელში იცავდნენ თავიანთ ქვეყანას. ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, ბაგრატ დიდი, გიორგი სააკაძე, ერეკლე მეფე წარმოადგენენ აკაკის პოეტური შთაგონების მუდმივსა და საყვარელ ობიექტებს.

ქართული უძველესი მითოსიდან აკაკიმ ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ აღადგინა შესანიშნავი სახე კავკასიის მთებზე მიჯაჭვული, ყვავ-ყორნებთან მებრძოლი ამირანისა და გამოსთქვა ურყევი რწმენა მისი საბოლოოდ განთავისუფლებისა.

აკაკი ისტორიულ წარსულში ეძებდა და პოეტურად ამუშავებდა ისეთ ეპიზოდებს, სადაც განსაკუთრებულის სიმძაფრით მოსჩანდა ქართველი ხალხის გმირული სული და შეუპოვარი ბრძოლა თავისუფლებისათვის.

მისი პოეტური მზერისათვის საქართველოს წარსულში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდნენ დიდი პოლიტიკური კრიზისები, დიდი დრამატიზმით აღსავსე ეროვნული განსაცდელის ეპოქები, მტრის შემოსევისაგან შექმნილი კრიტიკული მომენტები, რომლებიც ქართველი ხალხის სიღრმიდან მუდამ წარმოშობდნენ ეროვნულ გმირებს, თავიანთი მედგარი თავდადებით რომ შეელიდნენ ქვეყანას და იცავდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობას.

და აკაკიც თავის ისტორიულ პოეტურ ნაწარმოებში უდიდესი ოსტატობით აქანდაკებდა სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირთა სახეებს.

3

აკაკიმ თავის ნაწერებში უდიდესი მხატვრული ექსპრესიით ასახა ეპიზოდები შემოსეულ გარეშე მტერთაგან ქართველი ხალხის შეიარაღებული ბრძოლისა.

თავის ყველაზე ადრინდელ პოემაში — „ბაგრატ დიდში" აკაკიმ გვიჩვენა საქართველოს დასაპყრობად შემოსეული მონგოლთა ლაშქრის განადგურება ქართველთა მხედრობის მიერ.

იგივე თემა უფრო მეტის პოეტური ოსტატობით და დიდი მხატვრული სიძლიერით გაშალა პოეტმა ისეთ შესანიშნავ ნაწარმოებებში, როგორიც არის პოემები „პატარა კახი" და „კიკოლას ნაამბობი".

„პატარა კახში" მოცემულია ღრმა იდეური კონცეპცია სამართლიანი ომისა, რომელსაც აწარმოებს ხალხი გარეშე მტრის წინააღმდეგ. ეს კონცეპცია გადმოცემულია აკაკის საყვარელი გმირის, ახალგაზრდა მეფე ერეკლეს პირით:

„კმარა მონება, კმარა მოთმენა!
დრო არის ადგეს ერთპირად ერი:
ან ბრძოლის ველზე სული დალიოს,
ან მოიგეროს მოსული მტერი!
მონას რად უნდა კრული სიცოცხლე
ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი?
სჯობს მონებაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!

„კიკოლას ნაამბობში" აკაკიმ, სხვათა შორის პირველმა მთელ ქართულ პოეზიაში, სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლის მთავარ გმირად დაგვიხატა ხალხის შვილი, იმერელი ახალგაზრდა გლეხ-კაცი, კიკოლა, რომელიც მეფე ერეკლეს დროშის ქვეშ შეუპოვრად ებრძვის აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარს და ტფილისის კარებთან იცავს თავის სამშობლოს ინტერესებს.

აკაკი არა ერთხელ უბრუნდება თავის ლექსებსა და პოემებში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის ეპოპეას და დიდის პატრიოტული პათოსით გვიხატავს ერეკლეს თანამებრძოლთა ლეგენდარულ გმირობას ამ ტრაგიზმით აღსავსე უთანასწორო ბრძოლაში მტრის ურიცხვ ლაშქართან.

თუ „ბაგრატ დიდსა", „პატარა კახსა" და „კიკოლას ნაამბობში" აკაკიმ დაგვიხატა შემოსეულ მტრებთან ქართველი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის ეპიზოდები, პოემა „ნათელაში" და, განსაკუთრებით, შესანიშნავ მოთხრობაში „ბაში-აჩუკში" აკაკიმ გაგვაცნო დაუვიწყარი სურათები ჩვენი ხალხის პარტიზანული ბრძოლისა მტრის საოკუპაციო ლაშქართან.

ამ პოემების მიხედვით ჩვენ ვეცნობით ქართველ ისტორიულ გმირთა შეუდრეკელ ნებისყოფას, მათ მუდმივ სწადილს, მიმართულს იქითკენ, რომ მოსპობილ იქნას მტერი ყოველგვარი საშუალების გამოყენებით,—შეთქმულობით, პარტიზანული ბრძოლით, მოულოდნელი თავდასხმით და სხვა სამხედრო ხერხებით.

მოთხრობა „ბაში-აჩუკში" აკაკიმ გამოგონილ გმირებთან ერთად მთავარ მოქმედ პერსონაჟებად დახატა ქართველი მატიანის სახელოვანი ისტორიული გმირები — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.

აი ერთი მთავარი მოქმედი გმირი ამ მოთხრობისა როგორ გადმოგვცემს პატრიოტიზმის ღრმა და კეთილშობილი ფილოსოფიის ძირითად დებულებებს:

„რაც ფოთლებია ხისათვის, — ამბობს ეს გმირი, — ჩვენც ისევე ვართ ქვეყნისათვის და რაც წელიწადია ფოთლებისათვის, ის საუკუნეა ჩვენთვის... ნახევარი საუკუნის განმავლობაში არც ერთი აღარ ვიქნებით, სხვები დაიჭერენ ჩვენს ადგილს: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა".

საქართველოც ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი... სანამდის მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს-რა... ხე, როგორც მცენარე, მოურწყველად ვერ იხარებს ისე ერების ხესაც ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად ოფლთან ერთად ხანდახან წმინდა მოწამებრივი სისხლიც ეჭირვება სარწყავად!.. ამგვარი მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა და დღეს, თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ, საქართველოს ჭირიც წაგვიღია".

4

ქართველი გმირების ბრძოლა თავისი ქვეყნის სახელისა და დიდებისათვის განსაკუთრებული მაღალი პოეტური აღფრთოვანებით დაგვიხატა აკაკიმ პოემაში „თორნიკე ერისთავი". იდეური და მხატვრული ღირსებები ამ საუცხოო ნაწარმოებისა ყველასათვის ცნობილია, — ჩვენ გვინდა მხოლოდ შევჩერდეთ პოემის ერთ მომენტზე, რომელიც დღეს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თანამედროვე ვითარებასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვგულისხმობთ შესანიშნავ ბატალურ ეპიზოდს, რომელიც საოცარი მხატვრული დამაჯერებლობით არის შესრულებული ამ პოემაში.

ბრძოლა ქართველი ლაშქრისა თორნიკე ერისთავის მეთაურობით ბარდა სკლიაროსის ურიცხვ ჯართან აკაკის აღწერილი აქვს დიდი ეპიური ოსტატობით. ეს ნაწილი პოემისა მართებულად ითვლება ქართული პოეზიის შედევრად.

ეპიზოდი იწყება იმ გეოგრაფიული გარემოს პლასტიური აღწერილობით, სადაც უნდა მოხდეს გადამწყვეტი ბრძოლა ორი მოპირდაპირე ლაშქრისა, სპარსელების და ქართველებისა. დრამატიული მღელვარება ნელნელა იზრდება, ფართოვდება, უმაღლეს გამძაფრებას აღწევს მომდევნო სურათებში.

პოეტი გვიჩვენებს სპარსელთა ლაშქრის სარდალის სიფრთხილეს და მუხანათურ განზრახვას — ვიწრო სიმაგრეებში შეიტყუოს ქართველთა ჯარი. ამ მწვავე მომენტში საქმე რთულდება ქართველთა მოკავშირე ბერძენთა ლაშქრის აჯანყებით და გულმოსული თორნიკე ერისთავის წასვლით ბრძოლის ველიდან. მკითხველში გაკვირვებას იწვევს გამოცდილი სარდლის თორნიკეს საქციელი, რის წყალობითაც სასტიკად მარცხდება მარტოდ დარჩენილი ბერძნის ლაშქარი. მაგრამ პოემის შემდგომ განვითარებაში ირკვევა, რომ ეს მხოლოდ მოხერხებული მანევრი იყო სპარსელთა ლაშქრის სიმაგრეებიდან გაშლილ ველზე გამოსატყუებლად.

თორნიკე ერისთავი ემზადება გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ის დავალებებს აძლევს თავის სარდლებს, ყველას უნიშნავს საბრძოლო უბანს და სამხედრო ამოცანას.

და აი შესანიშნავი აღწერა განთიადისა ბრძოლის წინ, რომელიც ცნობილია მთელი საქართველოსთვის:

„...ვითა ეთერი მზეთუნახავი
საყვარლის მლოდე თრთის და
კანკალებს"...

თენდება, გაისმის პირველი ძახილი მომავალი ბრძოლისა. მტრის ბანაკში უკრავენ საპარტიალო საჭარს, ქართველთა ლაშქარში იწყება ბუკისა და საყვირების ცემა, ისმის ისართა პირველი გადაშუილება.

იწყება ბრძოლა.

ის თანდათან მძაფრდება. მასობრივ შეჯახებასთან ერთად ჩვენ ვხედავთ ცალკეულ გმირთა მარტობრძოლობის სურათებს, დასასრულ — გადამწყვეტი იერიში ქართველთა ლაშქრისა, მტრის დამარცხება და გაქცევა, ქართველთა გადევნება და მათ მიერ განადგურება მოწინააღმდეგისა.

ბოლოს, როგორც აპოთეოზი ამ ომისა ბრძოლის ველის სურათი მთვარიან ღამეში.

აკაკი ამ ეპიზოდში გვევლინება, როგორც შესანიშნავი პოეტი-ბატალისტი, პოეტი-ეპიკოსი, რომელმაც შესძლო დიდი, ჰომეროსის მსგავსი ტილოს შექმნა მეტად ზომიერი მხატვრული საშუალებებით.

ივერიელი

გალაქტიონ ტაბიძე

ხალხის საყვარელი პოეტი

მაღალი შთაგონებით დაჯილდოვებული პოეტი გალაქტიონ ტაბიძე ოცდათხუთმეტი წელია ამშვენებს ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას და იმსახურებს ყოველ ჩვენგანის სიყვარულსა და პატივისცემას. მისი უშუალო ნიჭიერება და ლირიული სითბო იპყრობს ჩვენი ხალხის გულისყურს და ფაქიზი ამღერებით ეხმიანება ჩვენს უწრფელეს ზრახვებს. ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში მან ბევრი შექმნა და უსათუოდ დაიმკვიდრა მუდმივი და ნაყოფიერი შემოქმედის სახელი. გალაქტიონ ტაბიძის პოეტური შთაგონება ყოველდღიურად დასტრიალებს ჩვენი დროის მრავალფეროვან ცხოვრებას და ამ ცხოვრების სიდიადით სულდგმულობს პოეტის ათრთოლებული ჩანგი. მისი პოეტური სული განუწყვეტლივ მღელვარებს და მან არ იცის შემოქმედებითი შესვენება. ამიტომ მისი წიგნები მრავალი სიმღერის შემცველი სქელტანიანი კრებულებია. თავის საუკეთესო ლექსებში იგი ინარჩუნებს პირველადვე გამომჟღავნებულ უშუალობას და ლირიულ სიფაქიზეს. რჩეულ ლექსებში მისი თრთოლვა ნამდვილია და მისი ამღერება მომხიბლავი. საბჭოთა სინამდვილემ იგი გამოიყვანა დეკადენტურ ნისლიდან და მისი შთაგონება უფრო მკაფიო და ნათელი გახადა. უცხოეთიდან გადმონერგილი იმპრესიონისტული მელანქოლია დაძლეულ იქნა და პოეტი ჩვენი სინამდვილის სიყვარულით განიმსჭვალა. იგი მშობლიური ქვეყნის ჭეშმარიტი და უანგარო პატრიოტი გახდა.

ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში მისი დახვეწილი მელოდიები უთუოდ ქართული პოეზიის ახალ აღმავლობას წარმოადგენენ. ქართული მოდერნიზმის განმტკიცებაც გალაქტიონ ტაბიძის სახელთან არის დაკავშირებული, მისი ღვაწლი ახალი ლექსის რეფორმისათვის დიდმნიშვნელოვანია და ღირსეულად დაფასებულია მკითხველი საზოგადოების მიერ. პოლ ვერლენის შემოქმედებით აღტაცებულმა ქართველმა პოეტმა რაფინირებული მელოდიების გადმონერგვა სცადა ჩვენს პოეზიაში და ნაწილობრივ კიდეც შესცვალა იმდროინდელი ქართული ლექსის მუსიკალური იერი. ოცდათხუთმეტი წელია იწვის იგი შთაგონების მაღალი ცეცხლით და ყოველდღიურად ატარებს ქართული სიტყვისადმი უმძაფრეს სიყვარულს და აღტაცებას.

გალაქტიონ ტაბიძე მთელი ჩვენი ხალხის საყვარელი პოეტია.

ალექსანდრე აბაშელი
იოსებ გრიშაშვილი
ირაკლი აბაშიძე
გიორგი ლეონიძე
სიმონ ჩიქოვანი
გრიგოლ აბაშიძე

საიუბილეო მიძღვნა გალაქტიონს

ალექსანდრე საჯაია

ეს გრძნობა თითქოს არის უთქმელი,
იგი უნათლეს ფიქრებს ანაზებს.
ხან დაწერილი მარმარის ქვაზე,
ხან კალმის წვერით ნაჩუქურთმევი,
სჩქეფს სიყვარული და სილამაზე.

სჩქეფს შენი ლექსის ქარვა და ბროლი,
შუაღამის გიშერს ცისფერი მოსდევს,
ყელს წაიგრძელებს ყაყაჩო თრთოლვით,
ოღონდ მონახოს თავისი ტოლი,
ოღონდ ცას ვარსკვლავს ემსგავსებოდეს.

ბაღში ატმის რტო გაფრენას ჩემობს,
ვაზი ნაზღვებმა ქების მსურველი,
ვარდი იფეთქებს ეკლების ზემოდ,
და სიტყვას მოაქვს ატმების გემო,
ლექსებს მოჰყვება ვარდის სურნელი.

წკრიალებს, ლაღობს ხმები ქართული,
გზა ლექსის შუქით გადაიქარგა.
თითქოს გვითხარი ყველა ართქმული,
ქარის წუხილიც არ დაგიკარგავს,
ვერხვის შრიალთან გადახლართული.

არ დაგიკარგავს არც ერთი ფერი,
ველების ეშხი, კორდის იერი;
მთებს შეეთვისე როგორც ძმობილი.
და უსპეტაკეს სიმღერას მღერი,
გრიგალთან მკლავებ გადაჭდობილი.

სამშობლოს ზეცა გფენდა იმედებს,
გზრდიდა არაგვის ქროლვა ქარული.
გადაგიშალეს შენ სიყვარულით,
რაც მათ სხვებისთვის ვერ გაიმეტეს,
რაც კიდევ გულში ჰქონდათ ფარული,

რისთვისაც ბევრის ფიქრი იწვოდა,
რაც ალაზანის ველმა იცოდა,
რაც გადამალა მხარემ მთიანმა
და საუკუნემ იმედიანად
მთრთოლვარე ხელი გამოგიწოდა.

ვერ მოგვხიბლავდა სხვა სასწაული,
მარტო სიტყვის და შუქის მოსწრება...
დღეს კვლავ ლექსების მზით იმოსება,
დღე — სილამაზის დღესასწაული,
დღე — სიყვარულის გახსენება.

გალაქტიონ ტაბიძის საღამო

საქართველოს სახალხო პოეტის გალაქტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50 წლის და შემოქმედებითი მუშაობის 35 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, ორშაბათს, 29 ნოემბერს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსან ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება პოეტისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენებას თემაზე „გალაქტიონ ტაბიძე და ახალი ქართული პოეზია" წაიკითხავს ამხ. ბესო ჟღენტი. მისალმებებით და სიტყვებით გამოვლენ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ლექსებს წაიკითხავენ პოეტები: ა. აბაშელი, გ. აბაშიძე, გ. ლეონიძე, ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, ს. ეული. ვ. გაბესკირია, გ. ქუჩიშვილი, კ. ბობოხიძე. ალ. საჯაია, ა. თევზაძე და ი. ნონეშვილი.

დასასრულ გაიმართება დიდი საკონცერტო განყოფილება.

ახალი ლექსები

გალაქტიონ ტაბიძე

იმ დღეებს ძეგლი უნდა აუგო

მე კავკასიის ქედები მთხოვენ, მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,
ელვმინო ყაზბეგს, ხევის ბეთჰოვენს, აგუგუნებს კაიშაურის.
მე მშობლიური არაგვი მირჩევს წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად,
ქართველის გული თუ რისთვის ირჩევს ომში სიცოცხლე ჩასთვალოს არად.
იმ დღეებს ძეგლი უნდა აუგო, უნდა აღმართო წყებათა-წყება,
ვით აღიმართა შენთან, ძაუგო, გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება.

სამშობლოს დროშა ფრიალებს

მიაგდებს მერანს მხედარი—სვლის გამარჯვების ფიალებს,
მის ხმალთან შენამკვიდრარი სიმართლის დროშა ფრიალებს.
ჩვენი ქვეყანა ებრძვის შხამს, კვალდაკვალ მისდევს ტიალებს,
ყოველ დარტყმაში, ყოველ წამს გმირული დროშა ფრიალებს.
ჩვენი ჭუნირი, ფანდური, სიცოცხლით გაიწკრიალებს,
მის ჰანგში ანდამატური სამშობლოს დროშა ფრიალებს.
მტერი იხრწნება, ირღვევა და სასიკვდილოდ ჰრიალებს,
სიმართლის დროშა იხრევა, სიმართლის დროშა ფრიალებს.
კიდევ ვაშა და დიდება, გამარჯვებათა სიალეს
ო, დიდ არს ჭეშმარიტება! ეს მისი დროშა ფრიალებს.

ვწერ ვინმე მესხი მელექსე

ვწერ ვინმე მესხი მელექსე, რაც კი მივლია მე გზები —
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე. ჯერ მზე და მერე ლექსები.
იყოს ნაკვეთი შაირი, როგორც ნასროლი ისარი,
ხან სრბოლა ქუხილნაირი, ხან რხევა სამაისარი.
ხან საკვნესარი დაირი, ხან ჩანგი მოდაისარი,
ის არი სუნთქვა, ჰაერი, მთელი სიცოცხლეც ის არი.
შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი, მშობლიურ მთა და ველებზე,
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი მე, ვინმე მესხი მელექსე.

გალაქტიონ ტაბიძის პორტრეტი. ქანდაკება სახალხო მოქანდაკის **ი. ნიკოლაძისა.**

საბჭოთა ეპოქის მომღერალი

გიორგი ნატროშვილი

ჰენრიხ ჰეინე თავის თავს უკანასკნელ რომანტიკოსს უწოდებდა. „ჩემით თავდება, — ამბობდა ის, — ძველი ლირიკის სკოლა და ჩემითვე იწყება ახალი სკოლა, ახალი ლირიკა". ეს სიტყვები თამამად შეიძლება გავიმეოროთ გალაქტიონ ტაბიძის შესახებ. მასაც ბედმა არგუნა დაემთავრებინა ეპოქა ძველი რომანტიზმისა და იმავე დროს დაეწყო ახალი ლირიკა, არა მარტო დაეწყო, არამედ კიდევაც შეექმნა უკეთესი ეპოქალური ქმნილებანი ახალი პოეზიისა, სოციალისტური ლიტერატურისა.

გალაქტიონ ტაბიძე თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში ტიპიური წარმომადგენელი იყო რომანტიული სიმბოლიზმისა. სამწერლო ასპარეზზე პოეტი გამოვიდა იმ რომანტიული ნაღველის, იმ მსოფლიო სევდის, იმ სულიერი მჭმუნვარების მოციქულად, რომელიც ესოდენ გვაღელვებს და გვიტაცებს ბარათაშვილის პოეზიაში. მაგრამ იმავე დროს გალაქტიონი, რომელმაც მემკვიდრეობად მიიღო რომანტიზმის იდეები, საუკუნის დასაწყისის იდეურ ატმოსფერასაც დაემორჩილა და საკმაო ხარკი გადაუხადა სიმბოლისტური სკოლის პოეზიას, დაცემულობის პოეზიას, ბოჰემას.

არსებითად, მსოფლმხედველობითი პრინციპების მხრივ, სიმბოლიზმი განაგრძობდა რომანტიზმის იდეებს. სიმბოლიზმი იყო ისეთივე ლტოლვა მიღმა ქვეყნისადმი, ისეთივე მისტიკური გატაცება არაამქვეყნიურით, რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობდით რომანტიკოსების პოეზიაში. რომანტიკოსებმა და სიმბოლისტებმა, უარჰყვეს რა რეალური ქვეყანა, თავიანთ წარმოდგენაში შექმნეს ცალკე სამყარო. ზეემპირიული და ბუნებისაგან გათიშული სამყარო.

და მაინც თავის შემოქმედების პირველ პერიოდში გალაქტიონ ტაბიძე რჩებოდა ძირითადში ქართულ ნაციონალურ პოეტად, რჩებოდა იმიტომ, რომ მისი პოეზიის ფესვები ღრმად იყო გამდგარი საქართველოს ნიადაგში. ვერც ედგარ პოს, ვერც ვერლენის, ვერც ბოდლერის გავლენამ, იმ პოეტების გავლენამ, რომელთა სახელებსაც ესოდენ ხშირად ახსენებდა გალაქტიონი თავის ლექსებში, ვერ მოსწყვიტეს ის ქართულ ფესვებს, ვერ დაუკარგეს ნაციონალური კოლორიტი მის ლექსებს. ქართული სახეები, ძველი ქართული რომანტიზმის სულიერი გაქანება კვლავ რჩებოდა გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის ლეიტ-მოტივად. შემთხვევითი როდი იყო, რომ მისი პირველი ლექსები კვლავ მთაწმინდის თემას დაუბრუნდნენ. „მთაწმინდის მთვარე" თითქოს ერთგვარად ტონსა ჰქმნიდა გალაქტიონის პოეზიაში. ამ ლექსში არის საოცრად ღრმა ექსტაზი და ნამდვილი რომანტიკოსის თვალით დანახული პეიზაჟი თბილისისა. აქ არის ნათელხილვა რომანტიული იდეების ქვეყნისა, სადაც ღამის დუმილში მთვარის მკრთალ ნათელზე მკითხველის თვალწინ მომხიბვლელ აჩრდილებად დგებიან და წარმოისახებიან მტკვარი და თეთრად მოელვარე მეტეხი, მთაწმინდის დიდი საფლავები, რომლებსაც ვარსკვლავთა სხივები ვარდებივით და გვირილებივით დაჰფენიან. თბილისი და მთაწმინდა ყველაზე საყვარელი სახელებია გ. ტაბიძის პოეზიაში.

1916 წელს პოეტმა დასწერა ლექსი „ხუთმეტი საუკუნე". ეს ლექსიც თბილისს ეხება. აქ სცადა პოეტმა გამოეხატა მარადი ახალგაზრდული სული ჩვენი ქალაქისა, რომელიც ვერ ჩაჰკლეს ჯალალ-ედინებმა და თემურლენგებმა, რომელიც ვერ წალეკეს ვერც არაბთა მოზღვავებამ, ვერც სხვა აღმოსავლურმა ურდოებმა. ქალაქი, რომელიც ყოველთვის ფენიქსისებრ განახლდებოდა ხოლმე, კვლავ ლონივრად წამოსწევდა მხრებს და არასოდეს ქედს არ უხრიდა შემოსეულ დამპყრობლებს, და იმ ლექსში მიმართავდა თბილისს — შენს აღსადგენად მოდის სხვა ძალა.

გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში მუდამ ცოცხალი იყო მოქალაქეობრივი სული, მართალია, ხშირად მოქანცული და სასოწარკვეთილი, მაგრამ მაინც მარად წარმტაცი და კეთილშობილური. მის პოეზიაში მუდამ ცოცხლობდა სიყვარული ადამიანისადმი, მისწრაფება თავისუფლებისადმი. ამიტომ იყო, რომ სოციალისტური რევოლუციის პირველ დღესვე პოეტი მგზნებარე ლექსებით მიესალმა კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქის დაწყებას. ის სწერდა:

„გათენდა, ცეცხლის მზე აენთო,
აცურდა... დროშები ჩქარა
. . . .
დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი
დაღვარა.
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს.
დროშები ჩქარა!"

მეორე ლექსში პოეტი სწერდა:

„ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა,
ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება.
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება".

ამ დღიდან, სოციალისტური რევოლუციის პირველი დღიდან, გალაქტიონ ტაბიძე მთელი თავისი პოეტური ძლიერებით უმღერის ახალ ქვეყანას, ახალი ეპოქის გენიალურ შემოქმედთ — ლენინსა და სტალინს, საბჭოთა ადამიანს, რომელმაც თავისი დიადი შრომითა და ბრძოლით გადაშალა ახალი ფურცელი კაცობრიობის ისტორიისა. გალაქტიონი გახდა ახალი ადამიანის სულისკვეთების გამომხატველ პოეტად. მისი თემატიკა მთლიანად ამოღებული იყო და არის სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების წიაღიდან.

გალაქტიონ ტაბიძე მგზნებარე საბჭოთა პატრიოტია. მისი ლექსის ყოველი სტრიქონი სუნთქავს ჩვენი სამშობლოს სიდიადის შეგრძნობით. იგი მთლიანად დაკავშირებულია სამშობლოს მიწასთან. მის წარსულთან, მის აწმყოსთან. თავის ერთ უკანასკნელ ლექსში პოეტი სწერს:

„თუ მრავალგზის დანგრეული
დღეს ძლიერი გახდა მხარე,
და მოედო სოფელს, ქალაქს
განახლების ნიაღვარი,
თუ გრიგალი მშენებლობის
ამეტყველებს თვით ქვა-ლოდებს, —
ეგ მისთვის რომ ჩვენ სტალინი
ახალ გზისკენ მოგვიწოდებს,
მშობლიურო ჩემო მიწავ..
შენ საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ".

როცა ფაშიზმის ველური ურდოები შემოესივნენ ჩვენს ქვეყანას, ამ ურდოების შესამუსრავად აღსდგა მთელი საბჭოთა ხალხი, აღსდგა დიდი სტალინის ქვეყანა, აღსდგა და მრისხანე ბრძოლის იარაღი აისხა ჩვენმა პოეზიამაც. ამ განსაცდელის ჟამს უფრო დიდი ძალით, ვიდრე ოდესმე, იჩინა თავი გალაქტიონის პოეზიაში სამშობლოს სიყვარულმა. პოეტი თავის ლექსებით აღანთებს მრისხანე სიძულვილს გერმანელი ბარბაროსებისადმი, ის ამახვილებს მტრისადმი სიძულვილის გრძნობებს, ის უმღერის იმ საბჭოთა ადამიანების თავდადებას, რომელნიც დაუზოგავად სწირავენ საკუთარ სიცოცხლეს სამშობლოს გადასარჩენად. გალაქტიონ ტაბიძე მთელი თავისი პოეტური ხმით უმღერის გენიალურ მხედართმთავარს, საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომელსაც წარმატებით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა გამარჯვებისაკენ.

პოეტის გზა

შალვა რადიანი

გალაქტიონ ტაბიძის ლირიკა, რომელიც მკითხველს ყოველთვის აჯადოებდა გრძნობის სიღრმით და გულწრფელობით, ადამიანური ხმის ბუნებრიობით, კლასიკური სისადავით და მხატვრული მანერის უაღრესი თავისებურობით, თავის დროზე, რევოლუციამდე, გამოხატავდა შედარებით პროგრესიულად განწყობილი ინტელიგენტური ფენების პროტესტს ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ და საზრდოობდა ძველი ცხოვრებისადმი განხეთქილების თემით. აქედან მომდინარეობს მისი ლექსების რომანტიკული პათეტიკა, მათი ავტობიოგრაფიული სიმართლე, მათი ამაღელვებელი და უდიდესი შემოქმედების მომხდენი ლირიული ძალა.

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში თავიდანვე იყო მოცემული ელემენტები საპროტესტო დამოკიდებულებისა ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი, დაპირისპირება კლასობრივი წყობილებისადმი, მისწრაფება სხვაგვარი, უკეთესი სასიცოცხლო წესების შექმნისაკენ. მაგრამ პოეტის ეს პროტესტი ძველი ცხოვრების წინააღმდეგ, ისევე, როგორც მისი დადებითი გატაცება, ჩვეულებრივად მჟღავნდებოდა სიმბოლისტურ ფორმებში.

გალაქტიონ ტაბიძემ ვერ დააღწია თავი „დეკადანსის" ავადმყოფობას, რაც გავრცელებული იყო რეაქციის პერიოდის ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის არც ერთ ქართველ მწერალს არ განუცდია ისე ტრაგიკულად ლიტერატურის დაშორება ცხოვრებისაგან, ხალხისაგან, როგორც განიცადა გალაქტიონ ტაბიძემ. მისი შემოქმედებითი გზა გამსჭვალული იყო შინაგანი დრამატიული კონფლიქტებით, მისწრაფებებით განთავისუფლებულიყო იდეალისტურად შეფერადებული მსოფლმხედველობისაგან, დაეძლია დაშორება ცხოვრებისაგან და გამოსულიყო რეალისტური ხელოვნების დიდ გზაზე, რომელიც ფართოდ და სიმართლით ასახავდა სინამდვილეს.

რევოლუციამდელ ლექსებში გალაქტიონ ტაბიძეს მთელი სიმძაფრე შეჰქონდა თავისი სულიერი მდგომარეობის გადმოცემისას. იგი დაუფარავად ლაპარაკობდა ძველი ცხოვრებით გამოწვეული მწუხარებისა და ტკივილების შესახებ. პოეტს აშინებდა სინამდვილე თავისი სისასტიკით, „იდეალური" ესთეტიკური ნორმების დარღვევით. მწუხარებით გამსჭვალული გალაქტიონ ტაბიძე ეძებდა განმარტოებას, იგი ჰქმნიდა ღამისა და მთვარის პოეზიას. ღამესა და მარტოობას უკავშირდებოდა მესამე მომენტიც, რომელიც პოეტის სულის თანმხლები იყო და რომელსაც თავის განცდებს უმჟღავნებდა. ეს იყო ბუნება. მის სულში ბუნების მოვლენები ორგანიულად შედიოდნენ და ერთიან განწყობილებას ჰქმნიდნენ. ბუნების სურათები ხდებიან პოეტის შინაგანი მდგომარეობის სიმბოლიზაციის საშუალებად, სულის პეიზაჟად. გალაქტიონ ტაბიძე უმთავრესად ეტანება ნათელი სურათების წარმოდგენას, სადაც განსაკუთრებით მოსჩანს ბუნების სიმკაცრე. დამახასიათებელია ამ მხრივ მისი შესანიშნავი ლექსი „ატმის ყვავილები". თაიგულივით იდგა ატმის ხე, დატვირთული მშვენიერი ნაზი ყვავილებით. მას სული უთრთოდა „შორით მოსული გაზაფხულის სხივით". ატმის ხე შლილი „ოცნებას გავდა, როცა ღელავდა, მზით აღჭურვილი".

„მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ახლაც ატყვია ხეს განაზზარი,
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.
როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი,
შემდეგ აშლილი და აფრენილი —
გადაცვენილი ატმის ყვავილი
იყო დაღლილი და მოწყენილი.

ატმის ხე გაძარცულია, მისმა ყვავილებმა დაფარა ბაღის ბილიკი. პოეტისათვის ეს სურათი ხდება პირადი მდგომარეობის ანარეკლად, მასაც შემოეცალა სიცოცხლის ძალა, მისი ყოფნა მწუხარებისათვის დაეფინა ცხოვრების ბილიკზე.

გალაქტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი შემოქმედების შინაგანი მოტივები უცილობელი წინააღმდეგობითაა გადახლართული. სევდითა და უიმედობით მოცული პოეტის გულის სიღრმეში მაინც იყო იმედის, მომავლის რწმენა. პოეტს სწამდა, რომ „ბედი", რომელსაც იგი ეტრფის, ცოცხალია. ამიტომაა, რომ მას აქვს ამავე პერიოდში რეალისტური პოეზიისათვის დამახასიათებელი თვისებები და განწყობილებები, იგი ბრძოლის აქტივობის სულისკვეთებით იმსჭვალებოდა. გალაქტიონ ტაბიძე სწერს ისეთ ლექსს, რომლებშიაც ცდილობს უკუაგდოს სიმშვიდისა და მყუდროების სულისკვეთება, რათა შეებას გრიგალს და მოუწოდოს ქარიშხალს:

„ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე
ვერც სიტკბოება,
ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო
და სანეტარო,
დაჰქროლე, ქარო. მე არ მიყვარს
ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შებმა მინდა,
დაჰქროლე ქარო".

ეს სიტყვები უკვე გულისხმობდნენ ცხოვრების წინააღმდეგობათა ბრძოლის გზით გადალახვის მოთხოვნილებას. პოეტს სწყურია თავისუფლება, რევოლუცია. მან იცის. რომ რევოლუცია თავისუფლების ფორმულაა, რომელიც სევდისაგან შებოჭილ სულს გაანთავისუფლებს და აამღერებს გრძნობათა და ოცნებათა ძლიერ ქნარს.

მხოლოდ ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გარდაქმნა ძირფესვიანად გალაქტიონ ტაბიძე. იგი თავიდანვე მიეკედლა ინტელიგენციის იმ ჯგუფს, რომელმაც მთლიანად მიიღო ეს რევოლუცია. და აქედან სათანადო შემოქმედებითი დასკვნა გამოიტანა. რევოლუციამ გალაქტიონ ტაბიძე მტკიცედ დააკავშირა ცხოვრებასთან, გააფართოვა მისი საზოგადოებრივი ინტერესები და პოეტური თემატიკა. გახადა მისი ხმა უფრო გაბედული და მკვეთრი. რევოლუციურმა სინამდვილემ მისცა მას საშუალება ახლებურად გადეფასებინა თავისი შეხედულებანი.

გალაქტიონ ტაბიძე ორგანიულად დაუკავშირდა საბჭოთა სინამდვილეს. მაღალი ოსტატობით, გულწრფელობით და ენთუზიაზმით გამთბარი ლექსები უძღვნა მან ჩვენი ქვეყნის განახლებას. რევოლუციამ პოეტში განამტკიცა ბრძოლის სიმღერა:

„ეს რა ბრწყინვალე მზე ამოენთო,
რა ჟრიამულმა გადაიღერა?
ეს სიმღერაა შენი, პოეტო,
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა".

გალაქტიონ ტაბიძე პოეტური უშუალობით ითვისებს იმ აზრს, რომ ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო კაცობრიობის ახალი, შესანიშნავი ისტორია. ძველი ცხოვრებისაგან დამცირებული ადამიანი, რომელიც გაანთავისუფლა რევოლუციამ, თამამად მიემართება ახალი, ბედნიერი ყოფის მწვერვალებისაკენ. კაცობრიობის ცხოვრებაში შედის ჯანსაღი, მშვენიერი, სრულყოფილი ადამიანის სიცოცხლე:

„გადაილახა მიუდგომი
საზღვრები ბედის.
კაცობრიობის ცხოვრებაში
სიცოცხლე შედის
ჯანსაღ, მშვენიერ, სრულყოფილი
ადამიანის"...

გალაქტიონ ტაბიძის პოეზიას ყოველთვის ახასიათებდა სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა და პატრიოტიზმის იდეა. თავის ლექსებში პოეტი ხშირად გვესაუბრებოდა სამშობლო ქვეყნის წარსულზე, მის გმირ ადამიანებზე. მისი პოეზიის ეს თვისებები განსაკუთრებით გაფართოვდა და გაღრმავდა რევოლუციის წლებში.

მთელი თავისი პოეტური შესაძლებლობით ამღერდა გალაქტიონ ტაბიძე სამამულო ომის ვითარებაში. მთელი თავისი მხატვრული შესაძლებლობა მიუძღვნა მან მტერზე გამარჯვების საქმეს როგორც საბრძოლო მოწოდება. ისე გაისმის დღეს მისი სიტყვები:

„სამშობლოსათვის, სტალინისათვის
სდგას მებრძოლი და პოეტი".

საბჭოთა ადამიანებს დღეს მხოლოდ ერთი გრძნობა და სულისკვეთება ამოძრავებთ—სამშობლოსადმი განუსაზღვრელი სიყვარული.

„ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა,
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.
სანამ გმირმა შენთვის სული დალია —
სთქვა: „სამშობლო უპირველეს ყოვლისა!"
არმოშიშარს ქარისა და თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
მამულს გული!—უპირველეს ყოვლისა.

ამ შეგნებით არის დღეს გამსჭვალული გალაქტიონ ტაბიძის მთელი შემოქმედება. პოეტი-პატრიოტი დიდის სიმძაფრით გამოსთქვამს საბჭოთა ხალხის გულის ნადებს, იგი აღფრთოვანებულია საბჭოთა ქვეყნის შვილების გმირობით, რომელნიც ყოველგვარ გამოცდას ვაჟკაცურად იტანენ და სიკვდილსაც არ უდრკებიან სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერების საკეთილდღეოდ. ეს გმირები მარად უჭკნობი სახელით იცოცხლებენ ყოველთვის. მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსის „მშობლიურო ჩემო მიწავ" დართული რეფრენი სხვადასხვა ვარიაციით გამოსთქვამს უკეთილშობილეს გრძნობას სამშობლოს სამსახურისას:

„მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენ საყვარელ სახელს ვფიცავ.
რომ დავიცავ შენს სიმაღლეს,
წინაპართა ძვლებს დავიცავ...
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
გიცავდი და გიცავ მარად,
გიცავდი და კვლავ დაგიცავ".

გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში მტკიცედ არის შემუშავებული რწმენა იმისა, რომ თავდადებული ბრძოლით საბჭოთა ქვეყანა მოიპოვებს გამარჯვებას.

გალაქტიონ ტაბიძე სინამდვილეს, ცხოვრების მოვლენებს მხოლოდ და მხოლოდ სავსე ლირიკული სახეების ფორმაში ითვისებს. განყენებული იდეები მასში ვერ პოულობს გამოძახილს მანამდე, სანამ არ გადაიქცევა იგი მისი ქვეყნისადმი ან ამა თუ იმ მოვლენისადმი დამოკიდებულების ორგანიულ ელემენტად. მას ახასიათებს ლირიკული თხრობის სრული ინტონაცია. მისი ლექსები გამსჭვალულია უნაზესი განცდებით, ჩამოსხმულია სრულყოფილ პოეტურ ფორმაში.

გალაქტიონ ტაბიძის განკარგულებაში პოეტური ხელოვნების ყველა საშუალებისა და საიდუმლოების ცოდნა, მათი დაუფლების გზები. იგი სიტყვას გრძნობს მთელი თავისი სისრულით და მრავალფეროვნებით. დაჯილდოებულია იშვიათი რიტმის გრძნობით. მისი ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია ფერებისა და ბგერების განუსაზღვრელი მრავალფეროვანება, უაღრესი მუსიკალობა. გალაქტიონ ტაბიძე მუსიკას უმორჩილებს თითქმის ყველა დანარჩენ ელემენტს ლექსში. მის ლექსებში ძლიერია სპეციფიკური ამღერება, რითაც იგი მკაფიოდ გამოირჩევა სხვა თავისი თანამედროვე პოეტების ლექსობრივ მელოდიებისაგან. ეს განსაცვიფრებელი შეხამება მუსიკალური და სიტყვიერი თქმებისა, სახეებისა, მის ლექსებს განსაკუთრებულ სიმშვენიერეს აძლევს.

გალაქტიონ ტაბიძის ლექსებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული პოეზიის განვითარებაში, გაამდიდრეს ის მუსიკალური ჰარმონიით და მრავალფეროვანებით, შემატეს მას უჩვეულო ბგერადობა, გახადეს მისი ლექსი უფრო მოქნილი და მოძრავი.

გალაქტიონ ტაბიძემ ქართულ პოეზიაში გამოავლინა ახალი გზა, და თვით შეიქნა ახალი პოეტური კულტურის ფუძემდებელი. სწორედ ამ თვისების შედეგად გახდა იგი ასე პოპულარული და თავისებური შემოქმედი მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

„ლიტ. და ხელოვნ." №-ი 33.

ძველი თბილისის ამბები

რამდენიმე თვის წინად თბილისში გარდაიცვალა ღრმად მოხუცი, თვითნასწავლი მხატვარი კარაპეტ გრიგორიანი. ვინც ყოფილა პუშკინის ქუჩაზე მდებარე სარდაფ „სიმპატიაში", მას უნახავს კედლები მოხატული კოპერნიკის, სოკრატეს, გალილეის, გლადსტონის, შოთა რუსთაველის და მრავალი სხვა მეცნიერისა და ევროპის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის პორტრეტებით. ეს სურათები ეკუთვნიან პრიმიტივისტ მხატვარს კარაპეტ გრიგორიანს.

გრიგორიანს ბევრი არაფერი დარჩენია: საოჯახო ნივთების მცირე რაოდენობა, თამარ მეფისა და რუსთაველის დიდი პორტრეტები და სამიოდე ხელნაწერი რვეული. აქედან ერთი რვეული ძველი თბილისის ამბებს (ავტორმაც ასე უწოდა მას) შეიცავს, ხოლო დანარჩენი ორი „აფორიზმებისა და ბრძნული აზრების" ამონაწერს წარმოადგენს.

გრიგორიანი ქართულად სწერდა, ქართული ენა თავის მშობლიურ ენად მიაჩნდა. გრიგორიანი წინადაც სწერდა და რამდენიმე წიგნი გამოსცა კიდეც.

„ძველი თბილისის ამბებიდან" ქვემოდ ვათავსებთ რამდენიმე ნაწყვეტს, რომელიც სანახაობასა და სპორტს შეეხება. ცხადია, გრიგორიანის ნაწერებში არის ელემენტები გულუბრყვილობისა, მაგრამ ისინი მაინც საყურადღებონი არიან, რადგან ნათლად გვიჩვენებენ, რით ერთობოდა, როგორ ცხოვრობდა ძველი თბილისი, როგორი იყო კულტურული ჰორიზონტი მისი მოქალაქისა.

ამ მხრივ ვფიქრობთ, გრიგორიანის ნაწერი ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

ავტორის ტექსტს თითქმის უცვლელად ვტოვებთ.

ს. კ.

ამქრების დროშები

წინანდელ დროში ამქრობას დიდი გავლენა ჰქონდა. ყველა ხელოსანთა ჯგუფს თავისი უსტაბაში ჰყავდა და თავისი დროშა ჰქონდა. როდესაც შეგირდი სწავლის ვადას შეასრულებდა, ის აუცილებლად ოსტატს უნდა დაელოცა. დალოცვა ასე ხდებოდა: ყოველ წელს ამაღლების დღიდან დაიწყებოდა ამქრების სალმრთოობა, ანუ მსხვერპლის შეწირვა. ყველა უბანში ღარიბ ოჯახებს შილაფლავს ურიგებდნენ. შემდეგ სადილები იმართებოდა ვერაზე და ორთაჭალის ბაღებში. ამ სადილების დროს ხდებოდა ოსტატის მიერ შეგირდის დალოცვა. ოსტატი ჯერ გულმხურვალედ დალოცავდა თავის შეგირდს, მრავალგვარ დარიგებას მისცემდა და ბოლოს სილას შემოჰკრავდა. იმ წუთიდან შეგირდი ღირსეულ და დამოუკიდებელ მოხელედ ითვლებოდა.

ამქრის დროშა თბილისში ასამდე იქნებოდა. ყველა ამქარს თავისი ღერბი ჰქონდა გამოხატული დროშაზე. დურგლების ბაირაღზე გამოსახული იყო ნოეს კიდობანი. მეღვინეთა ღერბიც იგივე ნოე იყო. ყასბების ღერბს მამა აბრამი და ისააკი ამშვენებდნენ.

როდესაც რომელიმე ამქრის წევრი მოკვდებოდა, მის გასვენებაზე მთელი ამქარი უნდა მისულიყო სამგლოვიარო ძაძებში გახვეული, დროშებით და ზურნით. ქალაქში მოსულ უცხოელ მეფეებსა და დიდ კაცებს ყოველთვის ამქრები ეგებებოდნენ და აცილებდნენ დროშებითა და ზურნით.

კრწანისის ველზე

1896 წელს შესრულდა ასი წელიწადი, რაც მეფე ერეკლემ კრწანისის ველზე დიდი ბრძოლა გადაიხადა.

ამ ბრძოლის ასი წლისთავი ისეთის ამბით აღინიშნა, რომ ყველა განცვიფრებაში მოვიდა. საქართველოს ყველა კუთხიდან მოვიდა ხალხი. იყვნენ: არაგველი მოხევეები, კახელები, იმერლები, ქართლელები, თუშები, ფშავხევსურები. ყველანი ცრემლით რწყავდნენ იმ ველს, რომელიც ქართველ გმირთა სისხლით იყო მორწყული.

ამ საგულისხმო დღეს სიტყვები წარმოსთქვეს და ხალხი აატირეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, რაფიელ ერისთავმა, ვასო აბაშიძემ, ვანო მაჩაბელმა, ზაქარია ჭიჭინაძემ და სხვა მრავალმა. იქ მყოფი უბრალო უსწავლელი ფშაველები და ხევსურები ისეთ სიტყვებს წარმოსთქვამდნენ, რომ ყველას გულში ცეცხლს ანთებდნენ.

ამ დღესასწაულმა ქართველი ხალხის გულში გააღვიძა ჩამქრალი ნაპერწკალი და გაამრავლა სიძულვილი იმათ მიმართ, ვინც ისტორიის განვლილი საუკუნეების მანძილზე ჩვენს სამშობლოს აწიოკებდა. ამ დღესასწაულმა ნათლად გამოხატა ქართველი ხალხის სიმამაცე და სამშობლოსადმი სიყვარული.

ძველი დროის აშუღები და მესაზანდრეები

ძველ დროში თბილისში მრავალი აშუღი იყო. ისინი სტამბოლიდან, არზრუმიდან, ალეპოდან, თავრიზიდან და სხვა კუთხეებიდან ჩამოდიოდნენ.

თბილისში აშუღები ბინას იდებდნენ შეითან-ბაზრის ყავახანებში. იქ ისინი ჩამოჰკიდებდნენ ძვირფას შალებს, იქვე ჩამოჯდებოდნენ და სიმღერებით და ამოცანებით მიმართავდნენ ადგილობრივ აშუღებს. თუ აქაური აშუღი ამოცანას ახსნიდა, ჩამოსულ აშუღს მისთვის უნდა გადაეცა დაკიდებული შალი და საკრავი.

აშუღები მღეროდნენ და უკრავდნენ ყავახანებში და ბაზარ ადგილებში, ხოლო მესაზანდრეები — უმთავრესად ქორწილებში და წვეულებებში.

ბოლო დროს დიდად გაითქვა სახელი თარზე დამკვრელმა და მომღერალმა იოვანგულამ.

როცა იოვანგულა მოკვდა, მწერალმა გივიშვილმა შემდეგი ორი სტრიქონი მიუძღვნა:

„რაც გათავდა იოვანგულა,
სიმღერები დაჩაგრულა".

იოვანგულას დროს იყვნენ სხვა ცნობილი მესაზანდრეებიც. ერთი მათგანი იყო ჭიპრა იოვანე. მისი სურათი საქართველოს მუზეუმში ინახება. დიდი ფაფახი ხურავს, მეტად განიერი შალვარი აცვია, ხოლო ულვაშები მხრებამდე სწვდება. ხელში ჭიანური უჭირავს. ეს ჭიანური მისთვის ერევნელ ხანს ეჩუქებინა, როდესაც თბილისიდან ვარშავაში წაეყვანა. ჭიანური ერთიანად თვალმარგალიტით იყო შემკული, ხოლო ტარს გამკეთებელის სურათი ამშვენებდა. ჭიპრას სიკვდილის შემდეგ ეს ჭიანური დარჩა მის შეგირდს ბრმა გოქორაშვილს. იმის შიშით, რომ არავის მოეპარა, მან ძვირფასი თვლები სულ დააძრობინა.

მცხეთის მხატვართ-უხუცესი და ხუროთმოძღვარი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბის მეოთხე ტომის მე-6 ნომერში, რომელიც ახლახან გამოვიდა, ყურადღებას იქცევს პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის სტატია: „მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი წარწერა" (გვ. 577-583).

1938 წლის ოქტომბერში მცხეთაში, სამთავროს ნეკროპოლის რაიონში აღმოჩენილ ბერძნულ წარწერიან ქვას სიმონ ყაუხჩიშვილი შემდეგნაირად კითხულობს: „აქ განისვენებ მხატვართ-უხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელი აქოლისი ჩემი მეუღლითურთ, ბევრაზურიათურთ, ვთხოვ მეგობრებსა და გამვლელებს ყური უგდონ (...) რათა არავინ და (აზიანოს?... თუ) ვინმე (გაბედავს დასაფლავებას) ჩვენთან ერთად, ან ჩვენი ტომისგანი, ან სხვა უცხოელი, პასუხს აგებს თავისი აღდგომის დროს".

ამგვარად, ახლად აღმოჩენილი წარწერა „წარმოადგენს ეპიტაფიას, ამოჭრილს მხატვართ-უხუცესისა და ხუროთმოძღვრის **ავრელი აქოლისის** საფლავის ქვაზე, ავრელი აქოლისთან ერთად ამავე აკლდამაში დასაფლავებული ყოფილა მისი მეუღლე **ბევრაზურია**".

პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი წარწერას ათარიღებს გვიან-რომაული ხანით, დაახლოვებით ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნით. ამასთანავე წარწერაში ამოკითხული ტერმინების საფუძველზე პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი დაასკვნის, რომ „ავრელი აქოლისი მცხეთაში შემთხვევით მოხვედრილი პირი კი არ უნდა იყოს, არამედ ადგილობრივ მუდმივად მომუშავე... თუნდაც რომ დავუშვათ, რომ აქოლისი საბერძნეთიდან ჩამოსული ოსტატია და არა მკვიდრი ქართველი, რომაული სახელის მატარებელი, მაინც იგი ჩანს ისეთ პირად, რომელიც მცხეთაში დამკვიდრებულა, ადგილობრივ დაოჯახებულა და მხატვართ-უხუცესისა და ხუროთმოძღვარის მაღალი თანამდებობა სჭერია".

რაც შეეხება მხატვართ-უხუცესის მეუღლეს „ბევრაზურიას", სიმონ ყაუხჩიშვილის განცხადებით, არც ბერძნულ ძეგლებში და არც ირანულ საკუთარ სახელებში ასეთი სახელი არ მოიძებნება. მიუხედავად ქართული ონომასტიკონის შეუსწავლელობისა, სიმონ ყაუხჩიშვილმა მაინც მონახა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" მსგავსი სახელი—„ბევრელი" და ფრთხილად დაასკვნის: „შესაძლებელია „ბევრაზურიას" პირველ ნაწილში ქართული „ბევრელი" შედიოდეს"-ო.

ამ ახლად აღმოჩენილი წარწერის ამოკითხვა რამდენადმე ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის საქართველოს შესახებ. სახელდობრ, მეოთხე საუკუნეში, ნაგვიანევი ანტიკური ხანის [illegible] თემისტეს მოწმობით, ელინურ კულტურას დიდი წარმატება უნახავს კოლხეთში. კოლხეთი გამხდარა ელინისტური კულტურის კერად და „მუზათა სადგურად". 1940 წელს „საქართველოს მუზეუმის მოამბეში" პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა მეტად საინტერესო სტატია „რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში". პროფესორმა თემისტეს ოცდამეშვიდე სიტყვის განხილვით დაასკვნა, რომ თვით ბერძნებისთვისაც-კი, რომელნიც ყოველ არა ბერძნულ ქვეყანას ბარბაროსულად სთვლიდნენ, კოლხეთი მეოთხე საუკუნეში წარმოადგენდა უაღრესად კულტურულ ქვეყანას, მეცნიერებისა და ხელოვნების ცენტრს. ფოთის მახლობლად არსებულა რიტორიკული სკოლა, რომელმაც გამოჩენილი მოღვაწეები გამოზარდა.

ამისდამიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის ახლახან გამოქვეყნებულ სტატიას მცხეთა სამთავროს ახლად აღმოჩენილი წარწერის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჩანს, მეოთხე საუკუნეში დასავლეთ საქართველოს არც აღმოსავლეთი საქართველო ჩამორჩებოდა. ხელოვნება იბერიაშიაც დიდად განვითარებული უნდა ყოფილიყო, რადგან მაშინ, როცა საბერძნეთში ჯერ კიდევ არ ყოფილა მხატვართ-უხუცესის თანამდებობა, მცხეთაში კულტურის განვითარება ისეთ დონეზე მდგარა რომ უკვე საჭირო გამხდარა ასეთი სახელოვნო თანამდებობის არსებობა.

იმ დროიდან სამასი წლით ადრე, სახელდობრ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, სტრაბონის თქმით, იბერიაში სახლები ხუროთმოძღვრების რიგზე ყოფილა ნაშენები და მოედნებზე საზოგადო დაწესებულებათა შენობები ყოფილა აგებული. ამისდამიხედვით შემცდარი არ ვიქნებით, თუ დავასკვნით, რომ სამი საუკუნის მანძილზე ქართულ ხელოვნებას განვითარების მაღალ დონეზე უვლია, რაკი მეოთხე საუკუნეში ქართული ხუროთმოძღვრების და მხატვრობის წარმართვა მოითხოვდა მცხეთაში მხატვართ-უხუცესის და ხუროთმოძღვარის მაღალი თანამდებობის და წოდების მქონე ოსტატის მოღვაწეობას.



წითელარმიელის ქანდაკება (მარცხნივ) და არსენას ძეგლის ესკიზი. მოქანდაკე ე. მაჩაბლისა.

ქრონიკა

არისტოტელის „პოეტიკა" ქართულად

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა და უახლოეს ხანებში გამოუშვებს არისტოტელის „პოეტიკას", რომლის თარგმანი პროფ. ს. დანელიას ეკუთვნის.

წიგნს დართული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა, ვრცელი გამოკვლევა, სახელებისა და საგნების საძიებელი და კომენტარიები.

წიგნი 192 გვერდს შეიცავს.

მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში

მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი ამჟამად მუშაობს თავისი ორი ძველი დადგმის განახლებაზე.

ნ. შესტაკოვის პიესას „ფინისტი, ამაყი შევარდენი" ხელახლა სდგამენ რეჟ. ნ. მარშაკი და მხატვარი ი. შტენბერგი. მუსიკა დაწერილია ბეიერის მიერ.

რეჟისორ გ. ღვინიევის მიერ დადგმული პიესის „კატა ჩექმებში" განახლებაზე მუშაობს რეჟ. ა. ლებედევი.

გარდა ამისა, შილერის „ვერაგობისა და სიყვარულის" დადგმაზე მუშაობენ რეჟ. ნ. მარშაკი და მხატვარი ი. შტენბერგი.

საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი IV.

გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი IV, წიგნი მე-6. „მოამბე"-ში მოთავსებულია 18 მეცნიერული ნაშრომი. მათ შორის: დ. კაპანაძის—„ქართული ფულის სინჯადობა", ს. ყაუხჩიშვილის—„მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა", პ. ბერაძის—„ქართული იამბიკის შესახებ", ა. ბარამიძის—„ამირან-დარეჯანიანის" ორიგინალობის საკითხებისათვის", ვუკ. ბერიძის—„ვეფხის-ტყაოსნის" ერთი მხატვრული სახის განმარტებისათვის", ვახტ. ბერიძის—„წინარეხი-გომისჯვარი-სასხორი" და სხვ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ბეჭდავს და მიმდინარე წლის დამლევამდე გამოსცემს პროფ. ს. ყაუხჩიშვილის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის" მეორე ნაკვეთს დოც. პ. ბერაძის რედაქციით, აკად. ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლების" მეორე ნაწილს — „მორფოლოგიას და სინტაქსს", დოც. ი. აბულაძის რედაქციით, გოლუნსკისა და სტროგოვიჩის „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას" პროფ. ი. ტალახაძის რედაქციით და უნივერსიტეტის „მოამბეს" № 26-ს.

მიმდინარე წელსავე გამოიცემა კრებული „სტუდენტების სამეცნიერო შრომები და მოხსენებები", სადაც მოთავსებული იქნება 1943 წლის განმავლობაში სტუდენტთა მიერ დაწერილი მეცნიერული ხასიათის საუკეთესო შრომები და მოხსენებები მეცნიერების ყველა დარგიდან.

აკ. ანდრიაშვილის ორი უვერტიურა

სამამულო ომის დღეებში კომპოზიტორმა აკ. ანდრიაშვილმა დასწერა უვერტიურა „ხუსარ ირისტონ" („სამხრეთ-ოსეთი"), რომელიც აგებულია სამხრეთ-ოსეთის მუსიკალური ფოლკლორის მასალაზე. უვერტიურა განხილულ იქნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში. უვერტიურამ მაღალი შეფასება მიიღო.

ამჟამად კომპოზიტორი სწერს უვერტიურას „მოწოდება" სამამულო ომის თემაზე. ა. ანდრიაშვილმა დასწერა აგრეთვე საგუნდო სიმღერა „ჰიმნი", რომელსაც ასრულებს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და რადიო-კომიტეტის გუნდი და სამწყობრო სიმღერა „დაიწყო ბრძოლა", რომელიც სრულდება ქართულ სამხედრო ნაწილებში.

თბილისის კინო-სტუდიაში

რეჟისორი კ. გრძელიშვილი ამჟამად იღებს მოკლემეტრაჟიან ფილმს იმ მტკიცე და ურყევი მეგობრობის შესახებ, რომელიც არსებობს მახარაძის რაიონის კოლმეურნეობის „შრომასა" და უკრაინის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობას შორის. როგორც ცნობილია, ამ რამდენიმე წლის წინად ამ ორი კოლმეურნეობის სოცშეჯიბრებისა და მეგობრობის საფუძველზე რეჟისორმა ვ. დოლიძემ გადაიღო დიდი მხატვრული ფილმი, რომელსაც „მეგობრობა" ეწოდება. ახალ მოკლემეტრაჟიან ფილმში გადაღებულია „შრომის" კოლმეურნეთა ყოველდღიური მზრუნველობა ფრონტისათვის და ის მომენტი, როდესაც მათ გაიგეს, რომ წითელმა არმიამ გერმანელ დამპყრობელთაგან გაანთავისუფლა უკრაინის აღნიშნული მოწინავე კოლმეურნეობა. ფილმში ნაჩვენებია, რა დიდი სიხარულით და ენტუზიაზმით ჰგზავნიან მახარაძის რაიონის კოლმეურნეები მატარებლის მთელ შემადგენლობას უკრაინაში ყაჩაღ გერმანელების მიერ გაძარცული კოლმეურნეობის აღსადგენად (სცენარი ვ. ყურულისა).

უკვე გადაღებულია და ამჟამად სამონტაჟოშია ალკკ 25 წლისთავისადმი მიძღვნილი მოკლემეტრაჟიანი ნარკვევი „ჩვენი დიდების ფურცელი", რომელიც ასახავს საქართველოს კომკავშირელების მონაწილეობას და გმირობას სამამულო ომის ფრონტზე, თავდადებულ შრომას ზურგში ფრონტის დასახმარებლად და სხვ. სურათი გ. აბაშიძისა და ვ. რუსანოვის სცენარის მიხედვით გადაღებულია რეჟ. შ. ჩაგუნავას მიერ.

კინო-ჟურნალ „საბჭოთა საქართველოსათვის", რომელსაც თბილისის კინო-სტუდიის ქრონიკის განყოფილება თვეში სამჯერ უშვებს, შავი ზღვის კინო-ჯგუფი რეჟ. შ. ხოშერიკის ხელმძღვანელობით და ოპერატორების ა. აჯიბეგაშვილის, გ. ტუსიკაშვილის და ა. ფილიპოვის შემადგენლობით იღებს შავი ზღვის სამხედრო ფლოტისადმი მიძღვნილ ორ ნარკვევს. სადაც ნაჩვენები იქნება შავი ზღვის ერთ-ერთი სანაპირო ქალაქის საჰაერო დაცვა, ყირიმელი პარტიზანების სტუმრობა შავი-ზღვის ფლოტის მებრძოლებთან, მონადირე კატერებისა და საბრძოლო გემბის საომარი მოქმედება. მეზღვაურთა ყოფა-ცხოვრება ომის პირობებში, ფლოტის მთავარსარდლობა და სხვ. იმავე კინო-ჟურნალისათვის უკვე გადაღებულია და მალე ნაჩვენები იქნება კინო-ნარკვევი ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის შესახებ, რომელმაც მიმდინარე წელს რკინიგზის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია მიიღო. ფილმში ნაჩვენებია გზის მუშაობა, მისი მიღწევები. გადაღებული არიან მოწინავე ადამიანები და უბნები, ჩვენი სოციალისტური შრომის გმირები და სხვანი. ნარკვევი გადაღებულია ოპერატორების ე. კილასონიასა და [illegible] სიმონოვის მიერ.

ცალკეული საბრძოლო ეპიზოდები სერიიდან „სამამულო ომის ფრონტზე" მზადდება იმ მასალიდან, რომელიც ფრონტიდან ჩამოიტანეს რეჟ. ი. კანდელაკმა და ოპერატორებმა ლ. აზრუმანოვმა, გ. ასათიანმა და ო. დეკანოსიძემ.

უახლოეს ხანებში გამოუშვებენ კინო-ქრონიკებს. ეს კინო-ქრონიკები მიეძღვნება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 26 წლისთავს, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის პრემიერას „დავით აღმაშენებელს", სახალხო პოეტს გ. ტაბიძეს და სხვ.

ამჟამად სამამულო ომის ფრონტზე იმყოფება ქრონიკის განყოფილების ბრიგადა ოპერატორების ა. ფილიპოვისა და გ. ასათიანის შემადგენლობით.

როგორ იბრძვის საფრანგეთის ინტელიგენცია

ფერნან გრენიე

ფრანგთა წინააღმდეგობა, მათი გაბედული ბრძოლა სხვადასხვა ფორმას ღებულობს. მრავალი ათასი პატრიოტი ყოველ დღე და ყოველ საათს იბრძვის სატუსაღოებში, სადაც მათ ათასნაირად აწამებენ და აუწერელ შიმშილს განაცდევინებენ.

ჩვენი სახელოვანი ფრანტირერები და პარტიზანები, რომელთა გმირულმა საქმეებმა და აქტებმა უკვე გაითქვეს სახელი, თავს ესხმიან გერმანელთა რაზმებს, თხრილებში აპირქვავებენ მათ მატარებლებს და საშუალებას არ აძლევენ მტერს, გადააქციოს საფრანგეთი დასასვენებელ სახლად გერმანელთა დივიზიებისათვის. მინდა აქ სათანადო მიუძღვნა პროფესორებს, სტუდენტებს, მწერლებს, მხატვრებს და სხვა ინტელიგენტებს, რომელნიც მამაცურად ებრძვიან და ეწინააღმდეგებიან გერმანელებს.

პეგი სწერდა: „ჩემის აზრით, უპატიოსნებაა მოითხოვდე გამარჯვებას, თავათ-კი სურვილი არა გქონდეს და გაურბოდე ბრძოლას". საფრანგეთის ინტელიგენციამ დაგვანახვა, რომ მას სურვილიც აქვს და იცის კიდეც ბრძოლა.

ფრანგ ინტელიგენტთა ანტიგერმანულმა ბრძოლამ ნათელი გამოხატულება ჰპოვა არალეგალურ პრესაში, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობს მკითხველთა შორის. დავასახელებთ უპირველეს ყოვლისა, „უნივერსიტე ლიბრ"-ს („თავისუფალი უნივერსიტეტი"), რომლის მე-80 ნომერიც ახლახან გამოვიდა. ეს ყოველკვირეული გაზეთი გამოდის უმთავრესად მეცნიერთა და პროფესორთათვის. მისი ყოველი ნომერი ნიჭიერად და გატაცებით არის შედგენილი.

სკოლის მასწავლებელთათვის არსებობს ორკვირეული „ეკოლ ლაიკი". დღემდე გამოვიდა 25 ნომერი. „ლეტიუდიან პატრიოტიკ" („სტუდენტი პატრიოტი") და „ლე პისტონ" მიმართავენ მოსწავლე ახალგაზრდობას.

ინჟინერთა და ტექნიკოსთათვის გათვალისწინებულია არალეგალური ჟურნალი „ლაკსიონ"-ი (1942 წლის დეკემბერში მე-8 ნომერი გამოვიდა). ეს ჟურნალი მრავალ რჩევა-დარიგებას აძლევს თავის მკითხველებს, მაგალითად, იმაზე, თუ როგორ უნდა გაუწიონ საბოტაჟი გერმანელთა სამხედრო პროდუქციის დამზადებას საფრანგეთში, თანაც მოუწოდებს მკითხველებს, ყოველნაირად ეწინააღმდეგონ ამ პროდუქციის შეტანას გერმანიაში.

ერთ წელიწადზე მეტი იქნება, რაც გამოვიდა ჰექტოგრაფირებული გაზეთის „ლ'არ ფრანსე"-ს („ფრანგული ხელოვნება") პირველი ნომერი. გაზეთი ოთხ გვერდად გამოდის. პირველმა ნომერმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია, ხოლო მხატვრული კრიტიკის ერთმა ვითომდა წარმომადგენელმა, უაღრესად შეზღუდული ჭკუის პატრონმა ჟან-მარკ კომპანმა თავის მოვალეობად ჩასთვალა ეცნობებინა ვისთვისაც ჯერ არს, რომ გაზეთი „ლ'არ ფრანსე" „დე გოლის მომხრეებისა და კომუნისტებისაა და იცემა სურათებით მოვაჭრე ებრაელთა მიერ, რომელნიც ფულს აძლევენ გაზეთს იმისთვის, რათა მან გააკრიტიკოს გერმანელებთან თანამშრომლობა „წმინდა მხატვრულ" ნიადაგზეო. კომპანი, ამრიგად, ცხადად გვიჩვენებს თავის ფაშისტურ სახეს. სურათების ერთ-ერთ გამოფენაზე ერთმა მხატვარმა ხელი არ გაუწოდა ამ ვაჟბატონს და დაურიდებლად მიახალა, გამცემებს ხელს არ ვართმევო.

კომპოზიტორებსა და დირიჟორებსაც აქვთ თავიანთი არალეგალური გაზეთი —„ჩვენი დღეების მუსიკოსები". გაზეთმა უპირველეს ყოვლისა ამხილა მოღალატე დელანუა, რომელიც გერმანელებთან შეთანხმების გზას დაადგა. დელანუამ „ლე ნუ ვო ტან"-ში მოათავსა წერილი ანუ, უფრო სწორად, დაბეზღება „ჩვენი დღეების მუსიკოსებზე". ამ გაზეთს დე გოლის ორიენტაციას აბრალებდა. ამან უფრო მეტი პოპულარობა მოუპოვა პატარა პატრიოტულ გაზეთს. იგი არა კმაყოფილდება ფრანგული მუსიკის დაცვით. იგი ამხელს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს აგრეთვე ყველა იმას, ვინც გერმანელებთან თანამშრომლობს. მუსიკოსთა გაზეთი იბრძვის უკომპრომისო პოზიციისთვის. იმავე დროს იგი დიდ ყურადღებას აქცევს ორკესტრის მუსიკოსთა ქონებრივ მდგომარეობას.

„ლე ლეტრ ფრანსე" („ფრანგული ლიტერატურა"—გამოვიდა ოთხი ნომერი) გათვალისწინებულია სპეციალურად ფრანგ მწერლებისთვის.

„ლე მედსენ ფრანსე" („ფრანგი ექიმი") თვეში ორჯერ გამოდის (უკვე გამოვიდა 24 ნომერი). იგი მიუთითებს ფრანგ ექიმებს იმ უბედურებაზე, რომელიც საფრანგეთს და ფრანგ ხალხს თავს დაატყდა. „ლე მედსენ ფრანსეს" მოჰყავს გერმანელ ექიმთა რეცეპტები და ცხადჰყოფს, რად გადააქციეს და რა უკუღმართი გზით წარმართეს მათ მედიცინა. გაზეთი ნიღაბს ხდის და სამარცხვინო ბოძზე აკრავს იმ გაიძვერებს, რომელნიც გერმანელებთან თანამშრომლობენ. ასეთია, მაგალითად, მოღალატე გერენუ, რომელიც თანამშრომლობს ყოვლად საზიზღარ ყოველკვირეულში „ჟე სიუი პარტუ". „ლე მედსენ ფრანსე" მოუწოდებს ექიმებს პატრიოტულ მოქმედებისაკენ, მოუწოდებს—დაეხმარონ ფრანგ პარტიზანებს.

ტირაჟი მთელი არალეგალური პრესისა, რომელზედაც ამ წერილში გვაქვს ლაპარაკი, აღწევს 58.000 ცალს. ეს საკმაოდ დიდი ციფრია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ყოველი აქ აღნიშნული გაზეთი გათვალისწინებულია სპეციალისტთა ვიწრო წრისთვის და არა ვრცელდება ფრანგ მოსახლეობის ფართო მასაში.

ყველა აქ აღნიშნული გაზეთის რედაქტორობა, ბეჭდვა და გავრცელება ხდება უსასტიკესი ტერორის პირობებში, ისეთი ადამიანების მიერ, რომელნიც წარსულში სრულიადაც არ ყოფილან მომზადებულნი საშიშ არალეგალურ მუშაობისათვის; ისინი ცხადჰყოფენ აგრეთვე ფრანგთა სასიცოცხლო ენერგიის სიუხვეს და გამძლეობას, ცხადჰყოფენ მათ ერთიანობას და ერთსულოვნებას, რადგან ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ერთმანეთს ხვდებიან, მუშაობენ და მსხვერპლად სწირავენ თავს საფრანგეთის სიყვარულით გაერთიანებული სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის პატრიოტები.

საფრანგეთის ინტელიგენცია საფრანგეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში დგას.

ფრანგმა ინტელიგენტებმა მრავალი გმირი და წამებული მისცეს საფრანგეთს. მტრის მიერ დახვრეტილ პატრიოტთა სია გრძელია, მეტად გრძელი, მაგრამ ამ სიიდან ჩვენ ძალიან ცოტას სახელი ვიცით. ესენი არიან: სახელოვანი ფიზიკოსი ფერნან ჰოლვეკი, პროფესორები შარლემანის ლიცეისა—ჟორჟ პოლიცერი და ჟაკ სოლომონ ნევე. როლენის ლიცეისა — დეკურდ მანში. დიეპის ლიცეისა — ვალანტინ ფელდმანი, დრეს კოლეჯისა—ბესიერი, ვიტრი კოლეჯისა—ლე ფრანსუა დორე, ჰავრის კოლეჯისა — მარტენი, პროფესორი ანამიტი იუკ კიონგი; ექიმები ტენინი, ჰესკი, ნარსო, ნას ფენარტი; პარიზელი ვექილები ანტუან ხაი, ჟორჟ პიტარი, მიშელ რაკოლნიკასი; ინჟინრები ვიქტორ რენელი და ჟაკ ბონსერჟანი; მასწავლებლები ლაფორს რონონდი და მაინე; არქიტექტორი სენ ფოქტი, ჩვიდმეტი წლის სტუდენტი გი მოკე, თვრამეტი წლის ბორდოელი გიშალი.

ყველა ესენი გასცა და გესტაპოს ხელში ჩაუგდო ვიშის პოლიციამ და ყველა ისინი სიცოცხლეს გამოასალმეს გერმანელებმა, გამოასალმეს უსასტიკესი ტანჯვა-წამების შემდეგ, რასაც ცხადჰყოფს „უნივერსიტე ლიბრის" 1942 წლის 14 ნოემბრის ნომრიდან ამოღებული ნაწყვეტი: „ვალენტინ ფელდმანი, ლიეჟის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი, გერმანელებმა დახვრიტეს 1942 წლის 27 ივლისს. მთარგმნელი რუსი მწერლის ნ. ოსტროვსკის წიგნისა „როგორ იწრთობოდა ფოლადი" ბორკილებში ჩაჭედეს და ექვს თვეს აწამეს. ისე დალია მან სული, რომ ქედი არ მოუხრია ფაშისტი ჯალათების წინაშე. როდესაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, უარი სთქვა დაეწერა თხოვნა პატიების შესახებ: მან არ მოისურვა საფრანგეთის მტრებისაგან რაიმე წყალობის მიღება. ახლა იგი ივრის სასაფლაოს უსახელო საფლავში განისვენებს. აუწერელ ტანჯვასა და წამებას განიცდის გერმანელების მიერ საპყრობილეში გამომწყვდეული საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის ხუთი წევრი: ემილ ბორელი, პოლ ლანჟევენი, ლაპიკი, კოტონი და მანგენი. თხუთმეტი წლის იძულებითი მუშაობა მიესაჯა ლილელ პროფესორს ჟან მარი ფოსიეს. აღმოსავლეთისაკენ გაძევებულ იქნა გეოგრაფიის პროფესორი რენე მიუსე. ვიშის მთავრობამ თავის საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაამწყვდია პროფესორები ტულუზის უნივერსიტეტისა ბერტო და გრენობლის უნივერსიტეტისა ადამ რენუარი. დაითხოვეს ჰერნიხ მეოთხის ლიცეის ისტორიის პროფესორი ფრანსუა. ბიუფონის ლიცეის ლიტერატურის პროფესორი არნუა, ლიტერატურის ისტორიის პროფესორი კავაი, სამეცნიერო ფაკულტეტის პროფესორი ჟან ვალეი, ლიონის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ლეპინი, უნივერსიტეტის პროფესორი რენუარი. ეს სია სრული არ არის.

ნამუს-გარეცხილ არამზადათა ჯგუფი უკვე სამი წელიწადია დაურიდებლად ააშკარავებს თავის გამცემლობას. აქ უნდა მოვიხსენიოთ მწერლები აბელ ბონარი და ერმანი, თვალთმაქცი და ორპირი დრიე ლა როშელი და ლ. ფ. სელინი, რომელიც ახლა უფრო გასალახნავდა, ვიდრე ოდესმე იყო, ცრუ მეცნიერი ჟორჟ კლოდი ეგრეთწოდებულ „აქსიონ ფრანსეზიდან". გამცემთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე მსახიობები საშა გიტრი, რომელიც თითონ აქებს და ადიდებს თავის თავს, ტინო როსი და სუზი სოლიდორი, რომელნიც „ანტიბოლშევიკური ლეგიონის" სასარგებლოდ გამოდიოდნენ. დანიელ დარიე და ალბერ პრეჟანი, რომელნიც გებელსთან სადილობდნენ ბერლინში სწორედ იმ დღეს, როცა მონ სენ ვალერიენში სიკვდილით დასაჯეს ჩვენი სახელოვანი გაბრიელ პერი. საერთოდ-კი ეს გამცემმოღალატენი სრულიად უმნიშვნელო ჯგუფს წარმოადგენენ და მიეკუთვნებიან იმ დამნაშავეთა წრეს, რომელნიც გესტაპოელ ოქროს-პაგონებიან მკვლელებთან ერთად ქეიფობენ და დროს ატარებენ მონმარტის პანძურ სამიკიტნოებში და პარიზის გადაგვარებული არისტოკრატიის სალონებში.

იმავე დროს ჩვენს თითქმის ჩამკვდარ პარიზსა და პროვინციაში საფრანგეთის ინტელიგენცია ქვას ქვაზე ადებს და საძირკველს უყრის თავისუფალი საფრანგეთის მომავალს.

სარედაქციო კოლეგია: ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი, (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. ჭულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე), ტელეფონი 8—47—10.

უე 9811

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.